ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 24 აგვისტო 2006 №195 (2817) ფასი 50 თეთრი

## !

სენსაცია ესაა! ფიფა იტალიას ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპიდან მოკვეთით ემუქრება!

ამ მეტად მოულოდნელმა და უჩვეულო ამბავმა წუხელ ელვის სისწრაფით მოიარა ევროპული სააგენტოები. მიზეზი კი, ცხადია, კალჩოპოლის სკანდალში იმალება: გახსოვებათ, ყველაზე მკაცრად დასჯილმა ტურინის „იუვენტუსმა“ აპელაცია სამოქალაქო სასამართლოში შეიტანა, რამაც მსოფლიო ფეხბურთის მმართველი განარისხა. კერძოდ, თუ სამოქალაქო სასამართლო „იუვენტუსის“ საჩივარს დააკმაყოფილებს, ეს ფიფას წესდების პირდაპირი დარღვევა იქნება, რადგან იგი კრძალავს საფეხბურთო საქმეებში სახელმწიფო-სამოქალაქო ორგანოების ჩარევას.

მოკლედ, „იუვემ“ ჩვენი მეტოქე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას თავსატეხი გაუჩინა — ფიფასთან თამაში ძალიან საშიშია...

## ჰოოოო... ტურამმა თქვა: ჰო!

„მე საქართველოსთან ვითამაშებ“ — უთქვამს ლილან ტურამს, ვისი სიტყვებიც სააგენტოებმა წუხელ გაავრცელეს. ტურამს ფრანგთა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა გუშინ ბარსელონაში საგანგებოდ ჩააკითხა.

უცნობი რჩება კიდევ ერთი ვეტერანის, ჩელსელი კლოდ მაკელელეს საბოლოო პასუხი...

# ამ კედელს იქით სხვა ცხოვრებაა

## დღეს ამერი — ჰერტაა
## დღეს უჩვეულო ბრძოლაა
## დღეს საქართველო — გერმანიაა








# ექსკლუზივი მეფესთან



...შოთა არველაძის თამაში ვნახე და ძალიან მომეწონა. ისე, რომ გითხრათ, ქართულ ფეხბურთს ვიცნობ-მეთქი, მოგატყუებთ. კახა კალაძის თამაშიც მინახავს და ვიცი, რომ ქართველია. სხვებზე ვერაფერს გეტყვით. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ არც ევროპის და არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე არ გითამაშიათ...

## დიეგო მარადონას პირველი ქართული ინტერვიუ

### შაბათს, 26 აგვისტოს



...ფეხბურთელმა სხეულის ყველა ნაწილით უნდა იცოდეს გოლის გატანა. ეს არის პროფესიონალიზმი. ის გოლი კი ღმერთისგან ბოძებული იყო და ამიტომაც შევარქვი „ღმერთის ხელი“.

# უეფას თასი 2006-2007
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



გიორგი ჩიხრაძემ გუნდი საგურამოში ავარჯიშა

[illegible] კოტოლაშვილის ფოტოები

თბილისი. 24 აგვისტო. 21 საათი. მიხეილ მესხი

**ამერი თბილისი V**

მსაჯები: პაველ ოლშიაკი; რომან ჩაბაი, რადომირ სლუკი; მიროსლავ იაშკა (ყველა სლოვაკეთი)

# ამერმა ამერი დაინახა



**საერთოდ,** დიდმნიშვნელოვანი თუ უბრალოდ მნიშვნელოვანი საერთაშორისო მატჩის წინა დღეს გუნდები იმ სტადიონზე ვარჯიშობენ, სადაც მეორე დღეს უნდა ითამაშონ. „ამერი“ კი ვაკის ნაცვლად საგურამოს გზას დაადგა. მოგეხსენებათ, იქ „ამერის“ ბაზაა, რომელიც ჯერ არ კეთილმოწყობილა, მაგრამ მინდორი კარგია, თანაც სიწყნარე-სიმშვიდეა და „ყვითლებსაც“ ეს სჭირდებათ გერმანულ „ჰერტასთან“ ჯახის წინ.

„ამერი“ „ზესტაფონთან“ სათასო მატჩის წინაც საგურამოში ემზადებოდა და ღმერთმა ჰქნას, მაშინდელივით იღბლიანად ეთამაშოს დღესაც.

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველ-ნახევარმცველი, 29 წლის გივი დიდავა უკვე „ამერის“ მოთამაშეა, თუმცა დღეს „ჰერტასთან“ ვერ ითამაშებს, რადგან საუეფასთასო განაცხადში არაა შეყვანილი. თუ გიორგი ჩიხრაძის გუნდმა ბერლინელთა ბარიერი გადალახა, მაშინ დიდავას უკვე შეეძლება ევროტურნირებზე გამოსვლა.

ამერელებმა ჯერ მოთელვის მიზნით ბურთი გაათამაშეს. მერე კვადრატები გააჩაღეს, რის შემდეგაც ორმხრივი თამაში ვნახეთ, ოღონდ ხელით — რაგბისმაგვარი ბურთაობა ბოლოს თავური დარტყმებით მთავრდებოდა.

ბოლოს კი, დაახლოებით ნახევარი საათი, ჩვეულებრივი ორკარა იყო. „ამერის“ ვარჯიში პირველად არ გვინახავს და ნაღდად ვიტყვით, რომ ადრინდელთან შედარებაც არაა — ცოტა წუნი, ბევრი ზუსტი პასი და სწრაფი გადაადგილებები. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ტემპში და ხალისიანად. გიორგი ჩიხრაძეც, როგორც წესი, თამაშში იყო ჩართული და გოლიც გაიტანა.

შესაძლებელია თუ არა 0:1-ის ამოქაჩვა „ჰერტასთან“? კაცმა რომ თქვას, რთულია, მაგრამ რატომაც არა?!

— მხოლოდ ის ვიცი, რომ „ამერი“ ყველანაირად მზადაა „ჰერტასთან“ სათამაშოდ — გვითხრა ნავარჯიშევს ამერელთა მეკარე *ზურაბ ქვაჩახიამ* — რაც შეგვეძლება, ვითამაშებთ, მაქსიმუმს გავიღებთ.

— პირველ მატჩში ხომ არ იგრძნობოდა, რომ „ჰერტა“ უფრო იოლ მოგებას ელოდა და არ შეგაფასათ?

— არანაირად. გამალებით ცდილობდნენ შეტევებს და ისეთი სახით მოდიოდნენ ჩვენს ნახევარზე, ამას ვერც წარმოიდგენდი.

— გერმანელთაგან ყველაზე სახიფათო რომელი ფეხბურთელია?

— სახიფათოა თვრამეტივე ფეხბურთელი, რომლებიც ხვალ განაცხადში იქნებიან.

— გული რას გიგრძნობს, რეალურად გაქვთ მომდევნო ეტაპზე გასვლის იმედი?

— წინასწარ ვერ ვიტყვი. სულ სხვაა გერმანული ბუნდესლიგის დონე და სულ სხვა — საქართველოს ჩემპიონატის. თუმცა ეს ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. კარგ ფორმაში ვართ, ეროვნული ჩემპიონატიც მშვენივრად დავიწყეთ და ვნახოთ...

*„ამერი“ მართლაც კარგ ფორმაშია და აკი თქვა ვარჯიშის შემდეგ დავით ბოლქვაძემ — ახლა ნაღდად სხვა ფეხბურთს ვთამაშობთო...*

**ილია ნანობაშვილი**







შეიძინეთ „ამერი“ — „ჰერტას“ მატჩის ბილეთები „კროკოს“ ყველა თბილისურ ბიუროებში, „ამერის“ სტადიონის ადმინისტრაციის შენობაში და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროში. ბილეთების ფასი 1, 3, 5 და 10 ლარია.

აგრეთვე იყიდება „ამერის“ ყოველწლიური სეზონისწინა და საგანგებო სათასო ცნობარები და „ჰერტასთან“ მატჩის პროგრამა

# უეფას თასი 2006-2007

## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

პირველი მატჩი 0:1

## ჰერთა ბერლინი

უეფას დელეგატი: სუნეილ ონენი (თურქეთი); დამკვირვებელი: ხუან ანტონიო ფერნანდო მარინი (ესპანეთი)



დიტერ ჰიონესი და ფალკო გიოტცი

# გიოტცმა ჰერთას წაგების რეცეპტი იცის: ამერმა ბერლინი უნდა გამოიყენოს

როგორც ჩანს, თბილისურმა ხვატმა ძალიან შეაწუხა გუშინ თბილისში ჩამოფრენილი ბერლინის „ჰერტა“. სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ მოწყობილი მატჩისწინა პრესკონფერენცია „ჰერტას“ თავკაცებმა სწორედ აუტანელ სიცხეზე ლაპარაკით დაიწყეს და მერე სხვაც ბევრი თქვეს.
ქართველ და გერმანელ ჟურნალისტებს „ამერის“ სადღეისო მეტოქის ბანაკიდან კლუბის მენეჯერი დიტერ ჰიონესი და მთავარი მწვრთნელი ფალკო გიოტცი წარუდგნენ.
ყოველგვარი აქეთურ-იქითურის გარეშე პრესკონფერენცია გერმანული პუნქტუალობით, ზუსტად დანიშნულ დროს დაიწყო. პირველი სიტყვა კი ჰიონესისა იყო...

*დიტერ ჰიონესი:* პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ უჩვეულო გარემოში მოვხვდით — კლიმატურ პირობებს ვგულისხმობ. ჩვენთვის ასეთი სიცხე აუტანელია, მაგრამ შეხვედრა საღამოს ცხრა საათზეა და იმედია, აგრილდება. რაც შეეხება მატჩს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, რომ მეტოქეს ვაფასებთ, თუმც ერთიცაა: მიუხედავად პირველი მატჩის მინიმალური სხვაობით მოგებისა, საპასუხო შეხვედრის წინ ჩვენ უკეთესი შანსი გვაქვს. „ამერზე“ საკმაო ინფორმაციას ვფლობთ, ვიცით, რომ სამიოდ დღის წინ თბილისის „დინამო“ დაამარცხა. ჩვენს ოპტიმიზმს ისიც აძლიერებს, რომ ახლახან ბუნდესლიგაში „ჰანოვერს“ დამაჯერებლად მოვუგეთ და, რაც მთავარია, ის ფეხბურთი ვითამაშეთ, მაღალი კლასის გუნდებს რომ ახასიათებთ. „ამერთან“ პირველ მატჩში კი სწორედ ეს გვაკლდა.

*ამის შემდეგ კითხვა-პასუხი „ჰერტას“ თავკაცმა ფალკო გიოტცმა „გადაიბარა“ და პირველად გერმანელ ჟურნალისტს უპასუხა...*

— განწყობა ძალიან კარგი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშსაც მოვიგებთ და თან ლამაზ ფეხბურთსაც ვაჩვენებთ. არ დავმალავ და, ჩვენი შანსები გაცილებით დიდია, ვიდრე ჩვენი მეტოქის. „ამერს“ თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა უნდა, აუცილებლად უნდა გამოიყენოს ისეთი მომენტები, ბერლინში რომ შექმნა. ჩვენ კი პირველ მატჩში აშკარად არ გაგვიმართლა. რამდენიმე რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ, თუმც ბოლო წუთებზე ძალიან მნიშვნელოვანი გოლი მაინც გავიტანეთ. ეს კი მთავარი წინაპირობაა, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავიდეთ.

— საპასუხო მატჩში ფრე დაგაკმაყოფილებთ?

— ყველანაირი შედეგი დაგვაკმაყოფილებს, რაც მომდევნო ეტაპზე გაგვიყვანს, თუმც ფრეზე რატომ უნდა ვითამაშოთ, როცა მატჩის მოგება სავსებით რეალურია?!

— ანუ „ჰერტა“ ანგარიშის შენარჩუნებაზე არ ითამაშებს?

— ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი ხშირ შემთხვევაში დამღუპველია, თანაც „ჰერტას“ საამისო არაფერი სჭირს.

— შესაძლოა, რომ „ჰერტამ“ სწრაფ გოლზე ააგოს ტაქტიკა და მერე კონტრშეტევებზე გადავიდეს?

— სწრაფი გოლი თავისთავად შესანიშნავი დებიუტი იქნება, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ასე მოხდება. სწრაფი გოლი იქნება თუ კონტრშეტევები, ამას ხვალ ნახავთ.

— ხვალ არნე ფრიდრიხს ათამაშებთ?

— არა, ფრიდრიხი საკმაოდ დაღლილია და ოპტიმალურ ფორმაში არ არის. ის სათადარიგო იქნება, მის ადგილზე კი სოფიან ჩაჰედი ითამაშებს.

— იმის გათვალისწინებით, რომ სამ დღეში ბუნდესმატჩი გელით „ჰამბურგთან“, ერთ-ორ წამყვან მოთამაშესაც ხომ არ დაასვენებთ?

— არა და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდში რამდენიმე ძლიერი ახალგაზრდა მოთამაშე მყავს. თუმც მათ საერთაშორისო მატჩების გამოცდილება აკლიათ და ამიტომ ხვალ ძირითად ბირთვს დავეყრდნობი.

— ესე იგი, ფრიდრიხის გარდა იმ შემადგენლობას დააყენებთ, „ჰანოვერს“ რომ მოუგო?

— თითქმის, რადგან ხვალ არ იქნება არგენტინელი ახალწვეული ხიმენესი. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას გავიყვან მოედანზე.

— პირველი მატჩის შემდეგ რომელიმე ამერელი თუ მოგეწონათ?

— მატჩისას მეტოქე ფეხბურთელებზე დაკვირვება ჩემი ამოცანა არაა. მე ჩემები უნდა შევაფასო. ისე, „ამერი“ საკმაოდ ნორმალური გუნდია.

— პირველი მატჩის ვიდეოფირის ნახვისას რა დასკვნები გამოიტანეთ?

— რატომ ფიქრობთ, რომ ვიდეოჩანაწერს აუცილებლად ვნახავდი?! ან რა იყო იქ სანახავი?! თანაც მხოლოდ ერთი გოლი გავიდა და საინტერესო არაფერი იქნებოდა...

*„ჰერტას“ თავკაცთა პრესკონფერენციაც აქ დასრულდა. გერმანელებმა სასტუმროში წაიხემსეს, ცოტაც მოისვენეს და სავარჯიშოდ გაემართნენ.*

**ბაჩო სვანიძე**



ბერლინელთა ერთ-ერთი იმედი ილდირაი ბაშთურქია

**ბერლინის** „ჰერტა“ საღამოს რვა საათზე მიადგა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს და დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშა.

შეიძლება ითქვას, ეს „ჰერტას“ ერთი ჩვეულებრივი ვარჯიში იყო, არაფრით გამორჩეული, ოდენ მატონიზირებელი.

„ჰერტა“ თითქოს უტყვი იყო — მინიმალური ემოციები და ძვირი ლაპარაკი ვარჯიშისას. ნამდვილი „ჰერტა“ დღეს გამოჩნდება...

საინტერესოა, რომ ბერლინელთა ტექნიკურმა დირექტორმა, 1998-99 წლების ბუნდესლიგის მთავარმეგოლე მიხაელ პრეეცმა კი ძუნძულით რამდენიმე წრე შემოურბინა მოედანს და მერე მუცლის პრესის ვარჯიშს ნაირგვარი გაწელვებიც მიაყოლა.

ცნობისთვის: 1978 წლის შემდეგ „ჰერტა“ თბილისს მეორედ სტუმრობს...



## საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — გადადებული მატჩი

ბოლნისი. 24 აგვისტო. 17.30. თამაზ სტეფანია

### სიონი — ოლიმპი

მსაჯები: მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, მ. ელიკაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

# ექვის მარცვალი დერბიში

**პირველი** ტურის გამოტოვებული „სიონი" — „ოლიმპი" ძალიან მძაფრ თამაშს გვპირდება: ჩემპიონი საკმაოდ კარგად დაბალანსებული გუნდის წინააღმდეგ.

მართალია, „სიონი" შინ ძლიერად თამაშობს, მაგრამ რუსთავის „ოლიმპმაც" საკმაოდ ღონივრად ითამაშა წინა ტურში სტუმრად „ზესტაფონთან" და ბოლნისში თამაშის სინდრომი არ უნდა აშინებდეს.

„სიონს" კვლავაც დისკვალიფიცირებული ჰყავს მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე, მაგრამ ეს დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს ბოლნისელებისთვის — დისკვალიფიკაციით ცხადაძეს გუნდის მომზადებაში ხელი ვერ შეეშლებოდა და იგი მატჩის დროსაც მოახერხებს კორექტივების შეტანას თავისი გუნდის თამაშში.

„ოლიმპის" დანაკლისი ისაა, რომ ტრავმის შემდეგ რევაზ გეწაძემ, გიორგი ონიანმა და ბესიკ მიქიაშვილმა ახლახან დაიწყეს ვარჯიში და, ბუნებრივია, დღეს „სიონთან" ვერ ითამაშებენ. „სიონი" კამერუნელ ფორვარდ ერიკ რომეო ჩასემს მოისაკლისებს — ის დისკვალიფიცირებულია.

ამ მატჩის არბიტრი ლევან ფანიაშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ამ შეხვედრას არ იმსაჯებს.

„როცა ფანიაშვილის მალხაზ მაისურაძით შეცვლის ამბავი გავიგეთ, მიზეზი ვიკითხეთ და გვითხრეს, ფანიაშვილი პალანგის საერთაშორისო ტურნირზე მივავლინეთო. ვფიქრობთ, თუ ფეხბურთის ფედერაცია ფანიაშვილს ლიტვაში აგზავნიდა, ეს თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი. მაისურაძის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ყველაფერი ამით ექვის მარცვალი ჩნდება. იმედია, ყველაფერი ნორმალურად ჩაივლის. „ოლიმპი" ძლიერი გუნდია და ქვემოქართლური დერბი საინტერესო უნდა იყოს" — გვითხრა „სიონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ტორპედო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ოლიმპი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:0 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბორჯომი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| დილა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:9 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

## დავით ყიფიანის თასი

### პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩები

23 აგვისტო, ოთხშაბათი

**გურია** ლანჩხუთი 1:4 ***ზესტაფონი*** (0:5)
მსაჯები: კ ქაჯაია; ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე; პ. დოგრაშვილი

**მეშახტე** ტყიბული 0:3 ***ტორპედო ქუთაისი*** (0:2)
მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე; ე. გოგინავა —

**სამტრედია** 0:0 ***ჩიხურა საჩხერე*** (0:4)
მსაჯები: ხ. გაგნიძე; დ. მაღრაძე, მ. ლომსაძე; ი. შენგელია

**მერცხალი** ოზურგეთი 0:2 ***ბორჯომი*** (0:4)
მსაჯები: ზვ. ასკაროვლი; ზ. ხუციშვილი, ს. სპიცინი; გ. ვადაჭკორია

***მეშაძრე** აგარა* 3:3 **დილა** გორი (4:0)
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი; ი. უკლება, ზ. ფიფია; დ. გოგოლაძე

**ზოოვეტი** თბილისი 0:1 ***სპარტაკი თბილისი*** (1:3)
მსაჯები: ლ. სილაგავა; კ. გუდურაშვილი, გ. დოგრაშვილი; დ. კურტანიძე

**ლიახვი** თამარაშენი 0:4 ***მერანი თბილისი*** (0:2)
მსაჯები: ა. ორდინიძე; ზ. მენთეშაშვილი, ვ. ცინცაძე; ვ. გუმბერიძე

**მგლები** ზუგდიდი 1:2 (2:4პენ) ***ბათუმი*** (2:1)
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; მ. ნაკაიძე

***ნორჩი დინამოელი თბილისი*** 2:0 **ლოკომოტივი** თბილისი (2:2)
მსაჯები: დ. სანაია; ზ. ასკაროვლი, ო. მოლოდინაშვილი; კ. ტეფნაძე

25 აგვისტო, პარასკევი

**მესხეთი** ახალციხე — **გაგრა** (1:2)
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; თ. ხუჭუა, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

31 აგვისტო, ხუთშაბათი

**ამირანი** თბილისი — **კახეთი** თელავი (1:3)
მსაჯები: ი. ურუშაძე; ბ. ჭიჭინაძე, ზ. გურგენაძე; დ. სანოძე

1 სექტემბერი, პარასკევი

**მადაროელი** ჭიათურა — **ოლიმპი** რუსთავი (1:5)
მსაჯები: ა. გუნთაძე; ე. ნარმანია, ა. კოკაია; მ. ურუშაძე

### საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

6 სექტემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართება ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის შეხვედრა უკრაინისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის. მატჩზე დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით ნომერზე: 877 900 902

# დომენეკი ჩემოდანზე შეჯდა

## რას ჩამოიტანს ფრანგი თბილისში ბარსელონიდან და ლონდონიდან?



**დღეს** საფრანგეთის ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენეკი იმ ფეხბურთელების ვინაობას გამოაცხადებს, რომლებსაც 2 სექტემბერს თბილისში ათამაშებს. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტთა თავკაცი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციასაც ჩაატარებს, ორ დღეში კი გუნდს შეკრებაც დაეწყება.

ეს მერე, მანამდე კი, დომენეკმა ბარგი შეკრა და ბარსელონა-ლონდონისკენ აიღო გეზი. დომენეკი ბარსელონელ ლილიან ტურამს და ჩელსელ კლოდ მაკელელეს ხვდება. ფრანგული მედიის ვარაუდით, ფრანგთა თავკაცი ალბათ შეძლებს ამ ორი ფეხბურთელის ნაკრებში დაბრუნებაზე დაყოლიებას, თუმც ეს ოფიციალურად დღეს გამოჩნდება...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ფედერაციამ საფრანგეთი პეტრიაშვილს მიანდო



სფფ-ის პრესსამსახური

ირაკლი მეძმარიაშვილი, ნოდარ ახალკაცი და დავით პეტრიაშვილი „ეროვნულზე"

**2 სექტემბერს** საქართველო — საფრანგეთის მატჩზე დირექტორი დავით პეტრიაშვილი იქნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ყველანაირად ცდილობს, მოახლოებული უმნიშვნელოვანესი შეხვედრა მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარდეს.

დავით პეტრიაშვილი უკვე რამდენიმე წელიწადია, უეფაში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობს და ოფიციალური მატჩების ორგანიზების დიდი გამოცდილებაც აქვს — ევროტურნირების გარდა, პეტრიაშვილი ევრო თუ მსოფლიო ჩემპიონატების თამაშებზეც ყოფილა დირექტორი.

გუშინ პეტრიაშვილმა და საფრანგეთთან მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა ეროვნული სტადიონი დაათვალიერეს და გაწეული სამუშაო შეაფასეს. სფფ-ის პრესსამსახურის ცნობით, თბილისში უეფას კომისიის ჩამოსვლამდე მსგავსი დათვალიერება სისტემატიურად მოხდება.

**ილია ნანობაშვილი**

# კიკნაძეს კომპლექტაციის და ფეხბურთელების სჯერა



რუსთავის „ოლიმპის" დამრიგებელი 30 წლის გიორგი კიკნაძე — თბილისის „დინამოს", საქართველოს ნაკრების, „ტრაბზონსფორის" და „ფრაიბურგის" ყოფილი ნახევარმცველი, რომელიც ხერხემლის ტრავმის გამო ნაადრევად ჩამოშორდა თამაშს და „ოლიმპი" მისთვის პირველი გუნდია, რომელსაც თავკაცობს...

— თქვენი სტატუსი „ოლიმპში" საბოლოოდ როდის გაირკვევა?

— მიმდინარე ჩემპიონატის სამიოთხი ტური რომ ჩამთავრდება. ჯერჯერობით კი გუნდში მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ვარ. „კახეთს" დამაჯერებლად მოვუგეთ, „ზესტაფონში" ნორმალურად ვითამაშეთ და, რომ გაგვმართლებოდა, ქულას კი არა, სამ ქულას წამოვიღებდით — ორი თამაშის შემდეგ ცუდი შედეგი არ გვაქვს. „სიონის" მერე, 27 აგვისტოს, „ლოკომოტივს" ვეთამაშებით და ამის შემდეგ ალბათ საბოლოოდ გაირკვევა, დავრჩები თუ არა „ოლიმპში" მთავარ მწვრთნელად. მაგრამ ახლა ამაზე კი არა, მხოლოდ „სიონთან" მატჩზე ვფიქრობ.

— მწვრთნელის ლიცენზია გაქვთ?

— ჯერ არა, მაგრამ აუცილებლად მექნება.

— ამ სეზონისთვის „ოლიმპი" ნოდარ აკობიამ მოამზადა და თქვენ მისი თანაშემწე იყავით — აკობიას არჩეულ გეზს გააგრძელებთ?

— აკობიასთან მიმუშავია როგორც მწვრთნელსაც და როგორც ფეხბურთელსაც და დარწმუნებული ვარ, ის გუნდს კარგად მოამზადებდა. მაგრამ, რაც შეეხება ტაქტიკას, რაღაც-რაღაცები შევცვალე.

— „სიონთან" სტუმრად თამაში ყველა გუნდს განსაკუთრებულად უჭირს...

— „ოლიმპი" ისეთნაირადაა დაკომპლექტებული, რომ შინ თუ სტუმრად, ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ, ამის ძალა რეალურად შეგვწევს და ასე იქნება „სიონთანაც". ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ისაა, რომ სამი დღის წინ სტუმრად ვითამაშეთ „ზესტაფონთან" და ახლაც სტუმრად გვიწევს თამაში, თანაც „სიონთან", მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ჩემს ფეხბურთელებში დარწმუნებული ვარ.

— დავით ყიფიანი, ფოლკერ ფინკე და ნოდარ აკობია — ამ მწვრთნელების შეგირდი იყავით და მათგან რა განსაკუთრებული სამწვრთნელო ცოდნა შეიძინეთ?

— რასაც ფეხბურთის ცოდნა ჰქვია, ყიფიანისგან ბევრი ვისწავლე. ძალიან ბევრს ნიშნავს, როგორი გადმოცემის უნარი აქვს მწვრთნელს, ყიფიანს ეს ძალიან კარგად ეხერხებოდა. ამ მხრივ ბევრი ვისწავლე ფინკესგანაც, ხოლო აკობია, პირველ რიგში, თეორეტიკოსობითაა გამორჩეული და პრაქტიკულადაც კარგად იცის საქმე.

— როცა „დინამოში" თამაშობდით და გუნდს ყიფიანი და აკობია წვრთნიდნენ, ევროსარბიელზე არაერთხელ დამარცხებულხართ დიდი ანგარიშით, წლეულს კი ქართული გუნდები არ გაუნადგურებიათ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ჩემპიონატის დონე არ ამაღლებულა. ისიცაა, რომ მაშინდელ „დინამოში" ალბათ თანამედროვე ქართულ გუნდებზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ...

— იმ გუნდებს შორის, მაშინ რომ ეთამაშა „დინამო" და წლეულს რომ ეთამაშნენ ქართული გუნდები, დიდი განსხვავებაა. „ბოავიშტასთან" 0:5 წავაგეთ და იქ მაშინ ნუნუ გომეში და ჯიმი ჰასელბაინკი თამაშობდნენ. „ლევერკუზენთან" 1:6 დავმარცხდით, მაგრამ კრისტოფ დაუმის გუნდი სულ სხვა ძალის და განზომილების იყო, ვიდრე ახლანდელია. ისიც ფაქტია, რომ „ბოავიშტასთან" და „ლევერკუზენთან" შინ მოვიგეთ. ახლა კი მიხარია და სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, თბილისის „ამერმა" ბერლინის „ჰერტას" სტუმრად სერიოზული ბრძოლა რომ გაუმართა და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი რომ აქვს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტევესმა ლეაო თქვა და მილანისკენ გაიხედა



**„მილანის“** სურვილი, ბრაზილიური „კორინთიანსისგან“ არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი შეიძინოს, შეიძლება, რამდენიმე დღეში სინამდვილედ იქცეს, ოღონდ როგორც ყველაფერში, აქაც არის ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი — „მანჩესტერ იუნაიტედი“.

„მილანში“ თამაშის სურვილი აქვს თავად ტევესსაც, თუმცა მისი კონტრაქტი „კორინთიანსთან“ 2007 წლამდეა. შეგახსენებთ, რომ 22 წლის თავდამსხმელმა თავისი გუნდი გასულ სეზონში ბრაზილიის ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. მან მეტოქის კარში 19 გოლი გაიტანა, მაგრამ ბოლო დროს საქმეები აერია, კერძოდ კი მწვრთნელთან, ემერსონ ლეაოსთან გაუფუჭდა ურთიერთობა.

„თუ ლეაო მწვრთნელი იქნება, „კორინთიანსში“ აღარ ვითამაშებ — განაცხადა ფორვარდმა, რომელიც ორი დღეა ვარჯიშზე აღარ მისულა. მან ვერ აიტანა ლეაოს გადაწყვეტილება, მისთვის კაპიტნის სამკლავური ჩამოერთმია — ვერ გეტყვით, კიდევ რამდენი ხანი ვიქნები ოფიციალურად „კორინთიანსის“ ფეხბურთელი, მაგრამ ჩემი ბოლო მატჩი ამ გუნდის მაისურით უკვე ნათამაშები მაქვს“.

„მილანს“, მოგეხსენებათ, სატრანსფერო საქმიანობა ჩემპიონთა ლიგაში „ცრვენა ზვეზდასთან“ ურთიერთობის გარკვევამდე გაჩერებული ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც ბელგრადის კლუბი დამლეულია და შავ-წითლები უკვე ჯგუფურ ეტაპზე არიან, სავარაუდოდ, ყველაფერი სწრაფად განვითარდება.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტევესის მიმართ თავის წილ ინტერესს გამოხატავს და არც მეტი არც ნაკლები, 47 მილიონ დოლარს იქნევს.

და კიდევ, იყო ლაპარაკი, რომ „მილანი“ „რეალისგან“ რონალდოს წამოიყვანდა, მაგრამ ამ საქმიდან, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არაფერი არ გამოდის.

„რონალდო ამწუთას „რეალის“ ფეხბურთელია და ის, რომ მისი შეძენა ბევრ გუნდს უნდა, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ის ნიჭიერია. მწამს, ის ჩვენთან დარჩება და მე ეს მხოლოდ გამახარებს“ — განაცხადა მადრიდელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

**პაპუნა ძიძია**



# კერემოს ა კაკა

## სიმღერა ბრაზილიურ კანფეტზე

**სამშაბათს** მაჰამადუ დიარა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელად ოფიციალურად წარადგინეს. „ლიონის“ ყოფილი ნახევარმცველი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მომავალი 5 სეზონის განმავლობაში ითამაშებს. „ძალიან აღელვებული ვარ. ჩემთვის „რეალში“, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში თამაშის დაწყება ახდენილი სიზმარივითაა. მხარდაჭერისთვის ყველას მადლობას გიხდით და ისღა დამრჩენია, ჩემი ვარგისიანობა მოედანზე დავამტკიცო“ — განაცხადა აფრიკელმა მობურთალმა პრეზენტაციაზე.

დიარა ლიონიდან მადრიდში 22 აგვისტოს ჩავიდა და ლა მორალეხას კლინიკაში სამედიცინო შემოწმების წარმატებით გავლის შემდეგ, ხუთსეზონიანი კონტრაქტი გააფორმა „რეალთან“. სამეფო თეთრი მაისურა აფრიკელს ლეგენდარულმა ალფრედო დი სტეფანომ გადასცა, თუმცა ჯერ გარკვეული არ არის, მაჰამადუ მადრიდში რა ნომრით ითამაშებს.

ერთი საინტერესო დეტალიც — „ბერნაბეუზე“ დიარას სანახავად მისულმა ინჩასებმა „რეალის“ თავკაცებს რამდენიმე წუთის განმავლობაში ხმაშეწყობით მიუმღერეს — „კერემოს ა კაკა“ — კაკა გვინდაო... ანუ მადრიდელთა გულშემატკივარი „მილანიდან“ ბრაზილიელი ფორვარდის გადაყვანას მაინც დაჟინებით ითხოვს. „დაწყნარდით, უახლოეს ხანში სასიამოვნო სატრანსფერო სიურპრიზი გელით“ — ჩასძახა მიკროფონში „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა.

მაჰამადუ დიარამ კი ოცნება აისრულა — ბავშვობისდროინდელ ფავორიტ გუნდში ხუთ სეზონს გაატარებს.

„პატარა რომ ვიყავი, „რეალის“ თავგამოდებული ინჩასი გახლდი“ — უთქვამს აფრიკელს ჟურნალისტებთან.

**ლადო ხომერიკი**

# მეც ინტერში მინდა

## ბუმსონგმა ისტორია მოწმედ მოიყვანა



ჟან-ალენ ბუმსონგი



მაურო კამორანეზი

**მაურო კამორანეზიმ** „იუვენტუსს“ გამოუცხადა, რომ პატრიკ ვიეირასა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის დარად „ინტერში“ გადასვლა სურს. როგორც ამბობენ, „ინტერიც“ დაინტერესებულია მსოფლიოს ჩემპიონი ნახევარმცველის შეძენით, მაგრამ რად გინდა, „ბებერ ქალბატონს“ დაუჩემებია, რომ კონტრაქტსა და მასზე საკუთარ ხელმოწერას ყველამ პატივი უნდა სცეს და ცდილობს, არგენტინაში დაბადებულ-გაზრდილი იტალიელი არ გაუშვას.

კამორანეზის აგენტმა სერჯო ფორტუნატომ „გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში განაცხადა:

„მაუროს სწორედ ისეთ დიდ გუნდში უნდა გადასვლა, როგორიც „ინტერია“. ჩემს კლიენტს ახალი მოტივაცია სჭირდება და ჩემპიონთა ლიგაში თამაში სურს. ამასთან, ჩვენთვის ცნობილია, რომ მასიმო მორატის კლუბი თავადაც სიამოვნებით მიიღებდა კამორანეზის, ასე რომ, ახლა მთავარი „იუვენტუსის“ პასუხია, რომელსაც მოუთმენლად ველით“.

ცნობილი გახდა, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ კამორანეზის მიყიდვაზე უარი შეუთვალა ესპანურ „ვალენსიას“, რომელიც მას 2,85 მილიონ ევროს სთავაზობდა და ფრანგულ „ლიონს“ რომელიც მზად იყო 3,4 მილიონი ევრო გაეღო.

ამასობაში კი „იუვენტუსმა“ ინგლისური „ნიუკასლისგან“ 2,17 მილიონ ევროდ იყიდა მცველი ჟან-ალენ ბუმსონგი, რომელმაც საზოგადოებას განუმარტა, თუ რამ გადაადგმევინა ეს ნაბიჯი — სერია B-ს გუნდში რატომ გადავიდა:

„არჩევანი მარტივი მიზეზის გამო გავაკეთე — „იუვენტუსი“ დიადი კლუბია. ტურინელთა ისტორიაა პასუხი თქვენს მიერ დასმულ კითხვაზე. ბედნიერი ვარ, ამ გამორჩეული გუნდის წევრი რომ გავხდი. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ კლუბმა თავადაც დიდი ინტერესი გამოხატა ჩემ მიმართ. იყვნენ სხვა გუნდებიც, მაგრამ მათგან განსხვავებით, „იუვენტუსმა“ ჩემ შესაძენად ნამდვილი ნაბიჯი გადმოდგა. ეს კლუბი მპირდება იმ სტაბილურობას, რომელიც ჩემთვის ასე მნიშვნელოვანია, სხვები კი ქარით მითხოვდნენ. თუმცა, მთავარი მაინც „იუვეს“ დიდი წარსული გახლდათ. იმედი მაქვს, რომ მის პროექტში მონაწილეობას მივიღებ და წვლილს შევიტან. ერთი სული მაქვს, როდის ჩავიცვამ მითიურ შავ-თეთრ მაისურას“.

ჟან-ალენ ბუმსონგი საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელია და ლურჯების შემადგენლობაში 20 შეხვედრა აქვს ჩატარებული. იგი დაბადებულია კამერუნში. „ნიუკასლამდე“ თამაშობდა „ლე ავრში“, „ოსერსა“ და „გლაზგო რეინჯერსში“.

**პაპუნა ძიძია**

# შარი მოკვეთილებს



**ლაციოს** სამოქალაქო სასამართლომ „იუვენტუსის“ ყოფილ დირექტორებს — ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია არ შეუმცირა — შეგახსენებთ, ამ ორ კაცს სპორტული მოღვაწეობის უფლება იმიტომ ჩამოართვეს, რომ როგორც კალჩოპოლის ტრიბუნალმა გაარკვია, შეთქმულ გუნდთა თამაშებზე მათთვის სასურველ მსაჯთა დანიშვნის სისტემა სწორედ მათ მოუგონიათ. ამწუთას უცნობია კერძოდ რატომ, რა მოსაზრებით განაცხადა უარი ლაციოს სასამართლომ. ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ შესაძლოა იმიტომ, რომ ჯირაუდოსა და მოჯის ამბავი ჯერ ქვეყნის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს არ გაურჩევია. ერთი სიტყვით, მათ შესახებ ჯერ სპორტულ სამართალს არ უთქვამს თავისი საბოლოო აზრი.

სასამართლოს შემდეგი სხდომები 5-7 სექტემბერს არის დანიშნული.

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალიდოლი და მრგვალი თანხები

## ჩემპიონთა ლიგა წელკავს უმკურნალებს



**დათვალეს** და გამოვიდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ახალი გათამაშების გამარჯვებულმა შესაძლებელია, 100 მილიონ ევროზე ანუ 130 მილიონ დოლარზე მეტი მიითვალოს. საიდან? საიდან და გაიზარდა სპონსორული თანხები, სატელევიზიო წლიური შემოსავლები, სტადიონებზე დასწრება და სხვა ჯურის სარფი. ერთი სიტყვით ის, ვინც გაისად 23 მაისს ათენში თასს აღმართავს, წელში ნამდვილად არ მოიხრება — ასეთი ბონუსი ევროპულ შეჯიბრებაში გამარჯვებულს არასდროს ჰქონია.

ცნობისათვის: ზემოთ ნახსენებ 100 მილიონ ევროში არ შედის უეფას საპრიზო ფონდი, ეს კი დაახლოებით — ენის ქვეშ ვალიდოლი ამოიდეთ და მერე გეტყვით — 40 მილიონი ევროა. შეკრება თქვენზე იყოს.

როგორც ექსპერტები ამბობენ, ნუ იფიქრებთ, რომ ამ ჩემპიონთა ლიგიდან მოგებული მხოლოდ კლუბები რჩებიან. ლიგის მთავარი სპონსორის, მასტერკარდის დაქირავებულმა 12-მა ბრძენკაცმა აღმოაჩინა, რომ ქალაქებიც კარგად ხეირობენ. მაგალითად, „ლივერპულის" 2005 წლის გამარჯვების წყალობით ქალაქმა ლივერპულმა 70 მილიონი ევროთი შეივსო ქისა — აქ, საუბარი არ არის არაპირდაპირ საფეხბურთო შემოსავლებზე, აქ, საუბარია იმაზე, რომ გუნდის ეშხით ქალაქში მომრავლდა ტურისტი, სხვადასხვა ტიპის კომერცია და სპონსორთა რაოდენობა. ლიგის ბოლო გამარჯვებული ქალაქის, ბარსელონას ამბავი ჯერ კიდევ დასათვლელია, პორტუმ კი, ლივერპულის წინა წელიწადს 12 მილიონი იშოვა. ცოტაა? ლივერპულისაზე ცოტაა, მაგრამ აქ საკითხს მეორენაირად უნდა შევხედოთ: პორტუსთვის თუა ცოტა? დაგვეთანხმებით, ზოგადად, პატარა ქალაქი უფრო მოიგებს...

**ბაპუნა ძიძია**

# რუი კოშტამ ანბანი გაიხსენა

## პორტუგალია სამივე ფეხით ჯგუფშია



კრაუჩმა თავისი მაინც გაიტანა



„მილანიდან" წასული რუი კოშტა „ბენფიკაშიც" კოშტაობს

### ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**მაკაბი** (ისრაელი) 1:1 ***ლივერპული*** *(ინგლისი)* (1:2)
0:1 კრაუჩი (54), 1:1 კოლაუტი (63)

**ოსასუნა** (ესპანეთი) 1:1 ***ჰამბურგი*** *(გერმანია)* (0:0)
1:0 კუელიარი (6), 1:1 დე იონგი (74)

**ცრვენა ზვეზდა** (სერბეთი) 1:2 ***მილანი*** *(იტალია)* (0:1)
0:1 ინძაგი (29), 0:2 ზეედორფი (79), 1:2 ჟოკიჩი (80)

***ვალენსია*** *(ესპანეთი)* 3:0 **ზალცბურგი** (ავსტრია) (0:1)
1:0 მორიენტესი (13), 2:0 ვილია (33), 3:0 სილვა (90)

***ბენფიკა*** *(პორტუგალია)* 3:0 **აუსტრია** (ავსტრია) (1:1)
1:0 რუი კოშტა (21), 2:0 ნუნუ გომეში (45), 3:0 პეტიტი (57)

**პიპო ინძაგისა** და კლარენს ზეედორფის გოლებით „მილანმა" ბელგრადიდან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გადაინაცვლა. „როსონერის" „სან სიროზე" 1:0 ჰქონდა მოგებული, რასაც სტუმრად 2:1 დაამატა. ინძაგი, ისევე როგორც პირველ თამაშში, ახლაც ალბერტო ჯილარდინოს და კაკას დახმარებით უტევდა მოწინააღმდეგის კარს. ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი და კახა კალაძე კი კვლავ დაშავებულები იყვნენ. ის კი არა, მილანელებს დანიელე ბონერაც კი არ ჰყავდათ სათადარიგოთა სკამზე.

ასე და ამგვარად, „მილანი" ბელგრადის „მარაკანას" ისტორიაში მეორედ ეწვია. პირველი სტუმრობა 1988 წელს შედგა, როდესაც „ცრვენა ზვეზდა" 1:0-ს იგებდა, მაგრამ ნისლის გამო შეხვედრა შეწყდა და მეორე დღისთვის გადაიდო, მაყურებელმა კი ჩხუბი ატეხა. მაშინ, საბოლოოდ პენალტებით მილანელებმა გაიმარჯვეს, ამჯერად კი ასეთი არაფერი მომხდარა, ყველაფერი ძლიერთათვის კარგად აეწყო და მათ უკვე 90-ე წამზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როდესაც კაკას ივან რანდიელოვიჩმა არ გაატანინა. სხვათა შორის, სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძლებმაც: სერჟინიოს შეცდომამ ჩინებული პოზიცია უძღვნა დეიან მილოვანოვიჩს, რომელსაც ბოლო წამს კაფუმ ჩაუშალა ნაღდი გოლი, კუთხურზე გაუკრა ბურთი. კუთხურიდან ჩაწოდებულს ნიკოლა ჟიგიჩმა თავით ოდნავ დააკლო სიზუსტე.

ანგარიში 29-ე წუთზე გაიხსნა — კაკამ თამაში გაშალა, ჯენარო გატუზოს მიერ მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული კი ასხლეტით, მეკარის ბაქანში მყოფ ინძაგის მიუვიდა, რომელმაც თავი დაჰკრა ბურთს.

ტაიმების გასაყარზე კარგი შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან კაკამ და ბლაგოი გეორგიევმა, შესვენების შემდეგ კი ბილი კოსტაკურტას შეცდომით კანალამ ჟიგიჩმა ისარგებლა. მილანელები მეკარე დიდამ იხსნა.

79-ე წუთზე „მილანმა" მეორე გოლი შეაგდო. ეს, კაკას რალაცნაირ, აბურდულ დრიბლინგს მოჰყვა. ეს დრიბლინგი ბელგრადელებმა კი ჩაშალეს, მაგრამ ზეედორფის დაქუხებულს ველარაფერი მოუხერხეს.

ერთ წუთში „ცრვენა ზვეზდამ" ეგრეთწოდებული პრესტიჟის გოლი შეაგდო. ეს კვლავ კოსტაკურტას შეცდომამ განაპირობა, რომლითაც ჟოკიჩმა ისარგებლა.

„ახლა ამოვისუნთქეთ, მაგრამ ორივე თამაშში მოგებამ არავინ მოატყუოს, ძალიან ძნელი თამაშები გვერგო — თქვა მატჩის შემდეგ „მილანის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ — მადლობა ფეხბურთელებს და ფიზიკური მომზადების მწვრთნელებს უნდა ვუთხრათ, რადგან ჩემპიონთა ლიგის ეს ეტაპი ჩვენს სეზონში გათვალისწინებული არ ყოფილა. ერთხელაც მინდა გავიმეორო, რომ ჩვენი ამ საფეხურზე გადმოსმა უსამართლობა გახლდათ, მაგრამ რაც იყო იყო, ახლა ჩვეულებრივად უნდა განვაგრძოთ გზა".

უშუალოდ თამაშზე კი ანჩელოტიმ თქვა, რომ „მილანს" გაუმართლა პირველი გოლი პირველი ტაიმშივე რომ გაიტანა.

„ატმოსფერო ისეთი იყო, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, პრობლემები წარმოშობილიყო, მაგრამ ჩვენ დიდი გუნდი ვართ და მოცემულ ვითარებაში კარგად ვიმოქმედეთ".

ხოლო „ვალენსიამ" ფერნანდო მორიენტესისა და დავიდ ვილის მიერ პირველ ტაიმში, ხოლო დავიდ სილვას მიერ მსაჯის წამატებულ წუთებზე გატანილი სამი გოლის წყალობით 3:0 დაამარცხა ავსტრიული „ზალცბურგი". 2000 და 2001 წლების გათამაშებათა დამარცხებულმა ფინალისტმა სტუმრად 0:1 წააგო, მაგრამ მორიენტესის შეწევნით დეფიციტი მე-13 წუთზე უკვე აღარ არსებობდა. „რეალისა" და „ლივერპულის" ყოფილმა თავდამსხმელმა ბურთი დაუცველ კარში იმიტომ შეაგდო, რომ ზალცბურგელთა გოლკიპერმა ტიმო ოხსმა ვალენსიელთა დარტყმული პირდაპირ იქითკენ მოიგერია, სადაც მორიენტესი მცველთა ხაზს გაუძვრა.

მეორე გოლი პენალტით გავიდა (იეზეკიელ კარბონიმ საჯარიმოში ხელით ითამაშა) და აქაც, ბურთი ოხსმა ჯერ ძელისკენ მოიგერია, მაგრამ ვილამ დაამატა. მესამე გოლი კი ფაქტობრივად შეხვედრის ბოლო დარტყმა გამოვიდა — სილვამ მარჯვენიდან შორეულ კუთხეში ჩააბზრიალა ბურთი.

პორტუგალია ლიგის ჯგუფურ ეტაპზე სამი გუნდითაა — „ბენფიკამ" ვენის „აუსტრია" 3:0 დაამარცხა (0:3 წაგება სამშაბათის ავსტრიული ანგარიში გამოდგა) და ორი მატჩის ჯამში 4:1 გამოუვიდა. აქ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ანგარიში ცნობილმა რუი კოშტამ გახსნა. რუი კოშტა ცოტა ხნის წინ „მილანში" თამაშობდა. სხვათა შორის, მან ფეხბურთის ანა-ბანა 9 წლისამ სწორედ „ბენფიკაში" ისწავლა, ასე რომ, ლამაზი დაბრუნება შედგა.

ასე და ამგვარად, ევროპის ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე „ბენფიკა" შეუერთდა თანამემამულეთ, „პორტუსა" და „სპორტინგს".

„ოსასუნამ" კი „ჰამბურგთან" 1:0 ვერ შეინარჩუნა, გოლი გაუშვა და ვინაიდან გერმანიაში 0:0 ჰქონდა ნათამაშები, „სტუმრული" წესით გამარჯვება ჰამბურგელებს ხვდათ. ისე, ოსასუნელებს მატჩის ბოლო წამს ისეთი მომენტი ჰქონდათ... მაგრამ შეცვლაზე შესულმა პიერ ვებომ ახლოდან ბურთი თავურით გადააცილა ხარიხას.

ჰაიფას „მაკაბიმ" კი „ლივერპულს" კიევში უმასპინძლა (თუ ვინმეს აინტერესებს რატომ, ვურჩევთ პოლიტიკურ ცნობებს საერთაშორისო ამბების მიმოხილვის ჩათვლით უსმინოს) და 1:1 ითამაშა ანუ გავარდა. ორი მატჩის ჯამში ინგლისელებს 3:2 მოგება გამოუვიდათ. ანგარიში ჯერ ლივერპულელმა ჯერმენ პენანტმა გახსნა, ხოლო შემდეგ „მაკაბის" არგენტინელმა თავდამსხმელმა რობერტო კოლაუტიმ გაქვითა.

**ბაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეფილდმა ბულგარული წიწაკის გემო გაიგო

## ინგლისი

### პრემიერლიგა. II ტური

**უოტფორდი 1:1 ვესტ ჰემი**

1:0 კინგი (63), 1:1 ზამორა (65)

**უოტფორდი:** ფოსტერი, დოილი, დემერიტი, შიტუ, პოუელი, ბუაზა (პრისკინი 73), ფრენსისი, მაონი (სპრინგი 45), იუნგი, კინგი, ჰენდერსონი

მწვრთნელი: ადრიან ბოტროიდი

**ვესტ ჰემი:** კეროლი, პანტსილი, ფერდინანდი, გაბიდონი (ბენაიუნი 66), კოლინზი, კონჩესკი, ბოიერი, მურინზი, რეო-კოკერი, ჰერვუდი (შერინგემი 66), ზამორა (კოული 83)

მწვრთნელი: ალან პერდიუ

მსაჯი: ატკინსონი

18 344 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:0 შეფილდი**

1:0 ბერბატოვი (7), 2:0 ჯენასი (17)

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ასუ-ეკოტო, დოუსონი, დევენპორტი, ლი, ლენონი, ჯენასი, ტაინიო (ზოკორა 69), დავიდსი, ბერბატოვი, კინი (დეფო 82)

მწვრთნელი: მარტინ იოლი

**შეფილდი:** კენი, სომეილი (მონტგომერი 60), ბრომბი, მორგანი, ანსუორთი (ნეიდი 61), გილესპი (ქუინი 80), იაგიელკა, ტონგე, არმსტრონგი, აკინბიი, ვებერი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

გაფრთხილება: ბრომბი

მსაჯი: უოლტონი

35 287 მაყურებელი

**„ტოტენჰემის“** 10 მილიონგირვანქიანმა შენაძენმა, ბულგარელმა დიმიტარ ბერბატოვმა პრემიერლიგაში საკუთარი გოლების ანგარიში გახსნა. „მამლებმა“ „შეფილდს“ პირველ ტაიმში გაკვეთილი ჩაუტარეს. ბულგარელმა ლენონის პასით გაიტანა, მერე კი გოლის ავტორმა პასი გაუჩარხა ჯერმენ ჯენასს“.

„აქ გოლების გასატანად ჩამომიყვანეს და მეც ეს საქმე უნდა ვაკეთო — განაცხადა დიმიტარ ბერბატოვმა — ეს ერთი იყო და სხვა კიდევ ბევრი იქნება“.

ტოტენჰემელთა მწვრთნელმა მარტინ იოლმა აარონ ლენონი აქო: „ძალიან სწრაფია და თითქოს ამ სისწრაფეში მოედნის ხედვა უნდა უჭირდეს. არადა, ვარჯიშებზე ყოველდღიურად ვრწმუნდები, რომ ისევე კარგად ხედავს, როგორც დარბის. ის ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბია მათ შორის, ვინც ბოლო 10 წლის მანძილზე მინახავს. აარონი ყველასგან გამორჩეულია. თან, არ დაგავიწყდეთ, რომ ჯერ 19 წლისაა“.

„შეფილდის“ თავკაცი ნილ უორნოკი: „მატჩამდე ძირითადი შემადგენლობის სამი ფეხბურთელი დაგვიშავდა და გუნდიც ამიტომ აირია, მაგრამ მეორე ტაიმში მთლად უშანსოდ არ ვყოფილვართ“.

„უოტფორდმა“ პრემიერლიგაში პირველი ქულა „ვესტ ჰემთან“ აიღო, თუმც სამის აღებაც შეეძლო. მასპინძელმა მარლონ კინგმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა დაახლოებით 30 მეტრიდან, მაგრამ „უოტფორდის“ სიხარული ორ წუთში განელდა — კონჩესკის ჩაწოდებულ ბურთს ზამორა დაუხვდა და 1:1. ბოლოს კი ვთქვათ, რომ 21 წელიწადია, „ჩაქუჩებს“ „უოტფორდთან“ არ წაუგიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ჰემი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:1 | 3 |
| პორტსმუთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| რედინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ნიუკასლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ევერტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| არსენალი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| უოტფორდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შეფილდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ბლექბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| სიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |



რობი კინმა და ბერბატოვმა მოგებით გაიხარეს



# ბაიერნი ქუსლით აქმენწლეს

## გამპერის თასი

**ბარსელონა 4:0 ბაიერნი**

1:0 რონალდინიო (30), 2:0, 3:0 ეტოო (32, 36), 4:0 სავიოლა (61)

**ბარსელონა:** ვალდესი (ხორკერა 45), ძამბროტა (ბელეტი 45), ოლიგერი (ტურამი 45), მარკესი (ედმილსონი 45), სილვინიო (ვან ბრონკჰორსტი 45), ხავი (ინიესტა 45), მოტა (ვან ბომელი 45), დეკუ (გუდიონსენი 45), რონალდინიო (ესკერო 45), ეტოო (სავიოლა 45), მესი (ჟიული 45)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ჰუმელსი, ოტლი, კარიმი (შვაინშტაიგერი 69), დოს სანტოსი, სალიჰამიჯიჩი (ლამი 65), პიზარო, პოდოლსკი

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

**„ბარსელონამ“** „გამპერის თასისთვის“ მატჩში მიუნხენის „ბაიერნი“ უმოწყალოდ გაანადგურა. სახელ-პრესტიჟი, მოგეხსენებათ, გერმანულ გიგანტს უზარმაზარი აქვს, მაგრამ ფელიქს მაგათის შეგირდები „კამპ ნოუზე“ უსუსურად გამოიყურებოდნენ. „ბარსამ“ კი ბრწყინვალედ იბურთავა, რითაც ესპანეთის სუპერთასის მოგებიდან მცირე ხანში, ერთგული ინჩასობა კიდევ ერთხელ გაახარა.

კატალონიური გრანდი „ბაიერნთან“ ომს გულშემატკივართა ასპროცენტიანი მხარდაჭერით ფრთაშესხმული შეხვდა. ინჩასებმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილეს — პირველი ბრწყინვალე და ეფექტური, მეორე კი უფრო დაძაბული და ბრძოლით აღსავსე.

დასაწყისისთვის რაიკარდმა მოედანზე ჩვეული, ნაცადი შემადგენლობა გამოუშვა. კატალონიელებიც ტრადიციულ სტილში ათამაშდნენ — ბურთი მეტწილად მასპინძლებთან გახლდათ, „ბაიერნი“ კი მხოლოდ კონტრიერიშებს ახერხებდა.

„კამპ ნოუზე“ ადგილობრივთა ბატონობის გამო „ბარსას“ გოლებმაც არ დააყოვნა. პირველი სიტყვა გუნდის ლიდერმა რონალდინიომ თქვა. 30-ე წუთზე კიჭამ შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო და გახარებულმა ესპანურმა „მარკამაც“ მეორე დღეს დაწერა — ბრაზილიელმა კანი პირდაღებული დატოვაო, კატალონიურ ტაბლოზე კი 1:0 აენთო.

გოლის შემდეგ „ბაიერნი“ სრულიად მოიშალა და რახან მეტოქემ წინააღმდეგობა ველარ გაუწია, „ბარსამაც“ იბრძღვინა და მაყურებელს ლამაზი ფიესტა მოუწყო. მეორე ბურთი სამუელ ეტოომ შეაგდო — კამერუნელმა რონალდინიოს გასროლას თავისიც დაუმატა. კანმა კიჭას დარტყმა უკუაგდო, მაგრამ ქარივით სწრაფ აფრიკელთან უძლური იყო... ეტოომ კი ეშხიანად გამოისყიდა გულშემატკივართა წინაშე თავისი დანაშაული — „ესპანიოლთან“ ესპანეთის სუპერთასის თამაშში მწვრთნელ რაიკარდზე გაბრაზდა, როგორ თუ გუდიონსენით შემცვალეო და გასახდელიდან პირდაპირ სახლს მიაშურა. ინჩასები ამაზე გაბრაზდნენ, თუმცა სამშაბათს აფრიკელს ალალად შეურიგდნენ — აბა, რა იქნებოდა, „ბაიერნთან“ მესამე გოლიც ხომ ისევ კამერუნელის ანგარიშზეა.

შესვენების შემდეგ 3:0-ით ნასიამოვნებმა ფრანკ რაიკარდმა 11 ცვლილება განახორციელა. მეორე ტაიმში სხვა „ბარსელონა“ თამაშობდა (ესკერო, ვან ბომელი, მეოთხე გოლის გამტანი სავიოლა, და ასე შემდეგ), თუმცა ენთუზიაზმი არც ამ გუნდს აკლდა.

„ბაიერნი“ გათანგულივით იყო „კამპ ნოუზე“. რონალდინიომ, მესიმ და დეკუმ პირველ ტაიმში ქუსლურები და სხვა მსგავსი ჯადოქრობანი დაიწყეს, რაშიც გერმანელები ხელს ვერ უშლიდნენ.

მეოთხე გოლი ოლივერ კანის „დამსახურება“ იყო. სახელგანთქმული გოლკიპერი გამოსვლისას ლუდოვიკ ჟიულის ჩაუხტა ფეხებში, თუმცა უხეიროდ და ფრანგმა სავიოლას მისამართით პასის მიცემა მოასწრო. „ბაჭიამაც“ გაიტანა, ისევე, როგორც კატალონიურ ფლაგმანში ყოფნის საუკეთესო პერიოდში აკეთებდა ხოლმე...

**ლადო ხომერიკი**

# ისევ დაუსტვენს

## მერკი დიდ ავიაციაში ბრუნდება



**44 წლის** გერმანელმა მსაჯმა მარკუს მერკმა საქმეში დაბრუნება გადაწყვიტა.

მოგეხსენებათ, მერკს მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაუმართლა, შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე რამდენიმე ეპიზოდი საკამათოდ განსაჯა და შესაბამისად, პლეი-ოფის არბიტრთა შორის ვერ მოხვდა, რამაც მასზე ისე იმოქმედა, რომ ბუნდესლიგის სეზონის დაწყება ჩააგდო. როგორც გერმანიის საფეხბურთო კავშირის, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მსაჯთა განყოფილების უფროსმა ფოლკერ როთმა თქვა, მერკს ძლიერ სჭირდებოდა დასვენება, მაგრამ რამდენი ხნით, არ დაუკონკრეტებია და, ამიტომაც დაირხა ხმა, რომ მან პროფესიაზე გული აიცრუა.

„ამასწინათ, სემინარზე კოლეგები ფეხზე წამომიდგნენ და ტაშით შემეგებენ, რამაც მიმახვედრა, რომ გაჩერება არ შეიძლებოდა — თქვა მერკმა და დასძინა — ახლა ფოლკერ როთს დავურეკავ და ვეტყვი, რომ ვბრუნდები“.

**პაპუნა ძედია**

# ფაბიო კაპელო ურევს

## ბოდოს გვარი და კასილიასის სახელი გაჭრილი ვაშლია

**მადრიდული „ასის“ ჟურნალისტის გაოგნებულ სახეს რომ შეხედა, კაპელოს გაეცინა და შეცდომა გამოასწორა: „რა, ილგნერი ვთქვი?! არა, მეგობარო, იკერი, იკერი, ეს ორი ერთმანეთში ამერია.“ მოკლედ, იტალიელმა „ასთან“ ისაუბრა და გარდა იმისა, რომ უნებლიეთ ბოდო ილგნერი ისევ „ბერნაბეუზე“ დააბრუნა, თანამედროვე სამეფო გუნდის შესახებ ბევრ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი**



— რა მოხდება რონალდოსთან დაკავშირებით?

— რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ რონალდო ჯერ ისევ „რეალის“ ფეხბურთელია. რა თქმა უნდა, არსებობენ კლუბები, რომლებსაც მისი შეძენა უნდათ. ამას დადებითად ვაფასებ, რადგანაც უცხო გუნდების სატრანსფერო მოძალება ამტკიცებს, რომ რონალდო ისევ ვარსკვლავად რჩება. ამჟამად რონი ფორმაში ჩასადგომად ყოველდღე ვარჯიშობს. ცოტა ხნის წინ ვესაუბრე და დამარწმუნა, პრობლემები არ მაწუხებსო.

— რონალდო „ბერნაბეუზე“ დარჩენას აპირებს?

— უნდა დარჩეს, თუ „რეალში“ ყოფნით კმაყოფილია. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. მთელმა მსოფლიომ და, რა თქმა უნდა, ჩვენც ვიცით, მოედანზე მისი ოსტატობის შესახებ, მაგრამ თუ წასვლა გადაწყვიტა, ხელს ვერ შევუშლით. პირადად მე ვფიქრობ, ამ ფეხბურთელს მადრიდიდან წასვლის მიზეზი არ უნდა ჰქონდეს.

— და თუ მაინც წავიდა, ახალ ფორვარდს იყიდით?

— ჯობს ამ შეკითხვაზე, რონმ თუ მართლა დაგვტოვა, მაშინ გიპასუხოთ. დღეს დარწმუნებული ვარ, რომ გუნდში დარჩება.

— „რეალში“ ლიონელი მაჰამადუ დიარას მოსვლით კმაყოფილი ხართ?

— რასაკვირველია. მნიშვნელოვანი ფეხბურთელი შევიძინეთ. დიარა დიდი ფიზიკური და სულიერი ძალით გამოირჩევა, მოედნის ცენტრში მისი საიმედო ბურთაობა „რეალს“ უთუოდ გააძლიერებს.

- „ლიონთან“ გარიგების ჩაშლისა ხომ არ გეშინოდათ?

— მოლაპარაკებები რთულად წარიმართა, თუმც საბოლოოდ დიარა მივიღეთ, რაც ამ შემთხვევაში ყველაზე მთავარია.

— გუნდში ახალი ფეხბურთელების მიყვანას კიდევ გეგმავთ?

— პრიმერადივიზიონის დაწყებამდე მცირე დროა დარჩენილი, თუმცა სატრანსფერო იდეები ჯერ არ დაგვხარჯვია, გამოუსადეგარ ფეხბურთელებში ფულის გადაყრას კი არ ვაპირებთ.

— „რამონ კარანსას“ ტურნირის შემდეგ „რეალი“ მედიამ გააკრიტიკა...

— ასეთი ტურნირების შედეგებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. მათ წმინდა მოსამზადებელი ხასიათი აქვთ. ჩემთვის მთავარი სეზონია. ვთვლი, რომ საკმაოდ კარგად მოვემზადეთ, რაც კვირას „ვილიარეალთან“ პრიმერას პირველ ტურშიც გამოჩნდება. კრიტიკას ვაფასებ, მაგრამ მის გამო გეგმებს არ შევცვლი. იმას გავაკეთებთ, რაც სამწვრთნელო შტაბმა დაადგინა.

— „ტროფეო ბერნაბეუზე“ „რეალის“ კარში ვინ იქნება?

— ორი შესანიშნავი მეკარე გვყავს, ილგნერი და დიეგო ლოპესი. ვნახოთ, რა მოხდება.

— ილგნერი?

— რა, ილგნერი ვთქვი?! არა მეგობარო, იკერი, იკერი — ეს ორი ერთმანეთში ამერია. კასილიასის სახელი და „რეალის“ ძველი მეკარის გვარი ერთმანეთს ძალიან წააგავს.

— ესპანეთის სუპერთასზე „ბარსელონას“ გამარჯვების შესახებ რას გვეტყვით?

— ეს მატჩი არ მინახავს. ვმუშაობდი და ამას ხუმრობით არ ვამბობ. თუმცა მიმაჩნია, რომ „ბარსელონაში“ ყველაფერი წესრიგშია. ზუსტად ისე ბურთაობენ, როგორც გასულ წელს. გუნდი ბევრად არ შეცვლილა.

— გუტის 2006-07-ის სეზონისთვის გუნდში რა როლს მისცემთ?

— გუტი ძლიერი და გუნდისთვის საჭირო მოთამაშეა, პასის მიცემის განსაკუთრებულ ნიჭს ფლობს და ტექნიკურადაც დახვეწილია.

— შეიძლება, ბაპტისტამ თავდასხმაშიც რომ იბურთაოს?

— ამჟამად ჟულიო ჩვენი მეორე თავდამსხმელია, მის გარდა მწყობრში მარტო ვან ნისტელროოი გვყავს. აი, რონალდო სწრაფად თუ მომჯობინდა... დავუცადოთ რონის და ეს საქმე მერე გადავწყვიტოთ.

— „რეალის“ პრეზიდენტი კალდერონი არჩევნებისას ხალხს „ბერნაბეუზე“ კაკას მოყვანას დაჰპირდა. არის კაკა თქვენთვის პრიორიტეტული ფეხბურთელი?

— კაკა მსოფლიოს ერთ-ერთი ბრწყინვალე მოთამაშეა. მისი შეძენა გუნდისთვის უაღრესად სასარგებლო იქნება, მაგრამ თუ „მილანმა“ ბრაზილიელის გაყიდვაზე უარი განაცხადა, ვერაფერს ვიზამთ — დიდი ტრანსფერები რთული საქმეა და ამას უნდა შევეჩვიოთ.

# მადლობა ღმერთს ლავოლპესთვის



**„ბოკა ხუნიორსის“** პრეზიდენტმა მაურისიო მაკრიმ დაადასტურა, რომ არგენტინული გრანდის მწვრთნელი, მექსიკის ნაკრების ყოფილი თავკაცი, თავადაც ტომით პატაგონიელი რიკარდო ლა ვოლპე იქნება.

„ჩვენ სენიორ ლა ვოლპეს მოველაპარაკეთ. იგი დაგვთანხმდა და „ბოკას“ 15 სექტემბრის შემდეგ ჩაიბარებს. მადლობა ღმერთს, რიკარდო ლა ვოლპე შესანიშნავი მწვრთნელია“ — განაცხადა „ლა ბონბონერას“ კლუბის თავკაცმა საგანგებო პრესკონფერენციაზე.

54 წლის ლა ვოლპე „ბოკაში“ ალფიო ბაზილეს შეცვლის, რომელიც 15 სექტემბრიდან ოდენ არგენტინის ეროვნული გუნდის მომზადებაზე იზრუნებს. „ჩემთვის დიდი პატივია „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელობა. ეს კლუბი არა მარტო არგენტინაში, არამედ მსოფლიოში სახელგანთქმულია“ — თქვა მექსიკელთა ექსდამრიგებელმა. სენიორ რიკარდო „ლა ბონბონერაზე“ ჯერჯერობით 2007-ის ივნისამდე დარჩება.

მშობლიურ ქვეყანაში სამწვრთნელო კარიერას კი გამოცდილი სპეციალისტი ახლა იწყებს. ლა ვოლპე 25 წლის წინ მექსიკაში წავიდა, სადაც „ატლანტეს“, „ტოლუკას“, „ამერიკას“, „ატლასს“ და სხვა იქაურ კლუბებს ხელმძღვანელობდა, სანამ 2002 წელს კაქტუსისქვეყნელთა ეროვნული გუნდის თავკაცად არ მიიწვიეს. მექსიკის ნაკრები არგენტინელმა 2006 წლის მუნდიალზე, მერვედფინალში თანამემამულეებთან დამარცხების შემდეგ დატოვა. ლა ვოლპე ბუენოს აირესში დასასვენებლად იყო ჩასული, როცა 26 ივლისს, ალფიო ბაზილეს პატაგონიის მწვრთნელად დანიშვნის მერე, „ბოკას“ უფროსობამ დამრიგებლობა შესთავაზა. მაშინ რიკარდომ შორს დაიჭირა — რას ამბობთ, ოც წელზე მეტია, რაც აქედან წავედი და არგენტინული ფეხბურთის სპეციფიკას არ ვიცნობო. თუმცა პრეზიდენტ მაკრის ენამჭევრობამ გაჭრა და 1978 წლის არგენტინის ნაკრების მესამე მეკარე „ბოკა ხუნიორსს“ გაწვრთნის.

„დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. მე წარმატებით განებივრებულ კლუბში მოვდივარ და აქაური ფანაობა „ბოკას“ ცუდ თამაშს არ მაპატიებს“ — აღნიშნა შეფიქრიანებულმა ლა ვოლპემ.

ახალი მწვრთნელის დებიუტი არგენტინული აპერტურას მეშვიდე ტურში „გოდოი კრუზთან“ შეხვედრაში შედგება. ამჟამად „ბოკა ხუნიორსი“ პატაგონიელთა ჩემპიონატის ლიდერი გახლავთ.

**ლადო ხომერიკი**

# ესტებან და კარლოს კამბიასოები

**„ინტერმა“** არგენტინელ ნახევარმცველ ესტებან კამბიასოს 2010 წლამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი. როგორც იტყობინებიან ესტებანი და მისი მამა, იმავდროულად ვაჟის აგენტი კარლოს კამბიასოები „ნეროაძურის“ ხელმძღვანელობას ორშაბათს შეხვდნენ და ყველაფერი მარტივად გადაწყვიტეს.

შეგახსენებთ, რომ კამბიასო „ინტერში“ მადრიდის „რეალიდან“ 2004 წელს გადავიდა და მწვრთნელს, რობერტო მანჩინის იმთავითვე მოაწონა თავი.

**ბაკუნა ძიდია**

### შვედეთი

**ალსვენსკა. XV ტური**

**ელფსბორგი 3:0 ჰალმსტადი**

**ჰელსინგბორგი 3:1 ჰამარბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 15 | 8 | 6 | 1 | 2&13 | 30 |
| აიკ | 15 | 8 | 5 | 2 | 27:15 | 29 |
| ჰამარბი | 15 | 9 | 2 | 4 | 26:18 | 29 |
| გიოტებორგი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:14 | 26 |
| მალმიო | 15 | 7 | 4 | 4 | 25:19 | 25 |
| იურგორდენი | 15 | 6 | 6 | 3 | 1&13 | 24 |
| კალმარი | 15 | 6 | 2 | 7 | 19:17 | 20 |
| გეფლე | 15 | 5 | 4 | 6 | 15:22 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 4 | 6 | 5 | 21:21 | 18 |
| გაის | 15 | 4 | 5 | 6 | 15:20 | 17 |
| ჰალმსტადი | 15 | 3 | 5 | 7 | 9:18 | 14 |
| ჰეკენი | 15 | 2 | 5 | 8 | 15:25 | 11 |
| იორგრიტე | 15 | 2 | 5 | 8 | 13:23 | 11 |
| იოსტერსი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:26 | 10 |

# ობერლიგიდან ბუნდესნაკრებში

## ლიოვმა გვერდში ფლიკი დაიყენა

**გერმანიის** ნაკრების მწვრთნელმა იოაჰიმ ლიოვმა თავის ასისტენტად ობერლიგაში მომუშავე ჰანს-დიტრიხ ფლიკი, იგივე ჰანსი ფლიკი დაასახელა. გერმანული წყაროების ცნობით, ისევე როგორც ლიოვი და მისი წინამორბედი იურგენ კლინსმანი, ჰანს-დიტრიხ ფლიკიც მძაფრი სამხრეთული აქცენტით ლაპარაკობს. 2005 წლამდე ის ობერლიგის „ჰოფენჰაიმს“ ედგა სათავეში, მაგრამ 2005-ში თანამდებობიდან გაანთავისუფლეს.

ფლიკი 41 წლისაა. როგორც ფეხბურთელი გაცილებით ცნობილი იყო, 1984-90 წლებში მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობდა ნახევარმცველად და 6 გოლი გაიტანა კიდეც. „ბაიერნიდან“ „კიოლნში“ გადასულმა 44 შეხვედრა ამ გუნდის მაისურითაც ითამაშა და 1993 წელს ბურთაობას თავი დაანება.

„ის თავადაა შემტევი ფეხბურთის განსახიერება, ჩვენ კი ამჟამად სწორედ ეს გვჭირდება“ — თქვა ლიოვმა ოფიციალურ განცხადებაში. ბოლო თვეების განმავლობაში ჰანსი ფლიკი „ზალცბურგის“ მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ.

გაირკვა ისიც, რომ 44 წლის ანდრეას კეპკე კიდევ ორი წლით დარჩება ბუნდესნაკრების მეკარეთა მწვრთნელად. ევროპის 1996 წლის ჩემპიონმა ამ თანამდებობაზე 2004 წლის ოქტომბერში ზეპ მაიერი შეცვალა.

**ბაკუნა ძიდია**



ჰანს-დიტრიხ ფლიკი

# ბედზე გამარჯვება




### ბედზე გამარჯვება

... „ოქროს ბურთით“ დავიწყოთ. დაჯილდოების ცერემონიალი „კამპ ნოუზე“ უნდა გამართულიყო და აზრად მომივიდა, რივალდოსთვის „ოქროს ბურთის“ გადაცემა საერთო ბარსელონურ ზეიმად მექცია. ამისთვის გალისიაში ნაცნობ იუველირს დავუკავშირდი და საჩუქრები შევუკვეთე — 64 პატარა „ოქროს ბურთი“. მაკეტი ნამდვილის ასლი გახლდათ. „კამპ ნოუზე“ ჯილდო ყველას შეხვდა, პრეზიდენტ ხოსეპ ლუის ნუნიესისა და მწვრთნელ ვან გაალის ჩათვლით. პატარა ბურთები თანაგუნდელებს, მეგობრებს და სტადიონის მომსახურე პერსონალს გადავეცი.

კონკურენტები დიდი სხვაობით დავამარცხე. მე 219 ქულა მერგო, დევიდ ბექემს — 154, ხოლო მესამე ადგილზე გასულ დინამოელ შევჩენკოს 64 ქულა მიაკუთვნეს. თუმცა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვის ობიექტურობის დასამტკიცებლად, ფიფას ვერდიქტისთვის უნდა დამეცადა. ფიფას ვერსიითაც პირველი მე ვიყავი — 543 ქულა მივიღე. ბექემმა 194 ქულა მოაგროვა, გაბრიელ ბატისტუტამ კი — 79. უფრო დეტალურად თუ გაინტერესებთ, რივალდოს პირველ ადგილზე გასვლის მსურველი 91 მწვრთნელი იყო, ინგლისელისა — 18, არგენტინელისა კი — 5. თავიდან ჯილდოს მოგებას დევიდ ბექემს უწინასწარმეტყველებდნენ — მისმა გუნდმა ხომ იმ წელს ინგლისის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. მიუხედავად ამისა, სეზონის ყველაზე გამორჩეულ ვარსკვლავად მე მაღიარ[illegible]...

### ახალბედას ნერვები

დადგა საღამო, როცა ფიფას პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობა უნდა გამოეცხადებინა. შემდეგ, საზეიმო ვახშამზე, ფიფას პრეზიდენტ ბლატერს ვუთხარი, ფეხბურთელი თურმე უმაღლეს ბედნიერებას მოედანზე გოლის გატანისას კი არა, ასეთ დროს განიცდის-მეთქი.

„ოქროს ბურთი“ პრესტიჟული ჯილდოა, ოღონდ ეს მხოლოდ ევროპის აღიარებაა. ფიფას არჩევანი კი უეჭველად უფრო მნიშვნელოვანია.

სანამ დარბაზში უზარმაზარ ეკრანზე ჩემს გოლებს აჩვენებდნენ, თვალწინ მთელმა ცხოვრებამ ჩამიარა. ცხადია, წარმოვიდგინე მამაჩემი, მისი რწმენა ჩემს დიდ ფეხბურთელობაზე. ასევე გამახსენდა რივალდოს გზა ჯერ ბრაზილიის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, მერე კი ევროპული და მსოფლიო დიდებისკენ. ყველაფერი დავინახე, რის გულისთვისაც ამ წიგნის დაწერა ღირდა... მინდა, სხვა ფეხბურთელებმაც იცოდნენ, სახელ-დიდების მოსაპოვებლად რამდენი სირთულის გადალახვა მოუწევთ.

აი, ასე დამთავრდა ეს ბრწყინვალე სეზონი და დაიწყო მომდევნო, როცა, რა თქმა უნდა, პრესისა და ტელევიზიის გაათმაგებული ყურადღების ცენტრში მოვექეცი. ჟურნალისტთა ინტერესი უკვე დაჯილდოებისშმდგომი საზეიმო ბანკეტის მერე ვიგრძენი. ინტერვიუერთა ბრბომ ქებით ცამდე ამიყვანა. არადა, ვიცოდი, რომ მათ ჩემს სიმართლეში ბოლომდე მაინც ვერ დავარწმუნებდი.

აზრის გამოთქმა თავადაც მინდოდა. ამიტომ ჩემი მეგობარი ჟურნალისტი, დავიდ ესპინარი, სასტუმროს ნომერში მივიწვიე. უპირველეს ყოვლისა, შხაპი მივიღე, რამაც დაძაბულობა მცირედით მომხიხსნა, თუმცა ემოციებს ვერაფერი მოვუხერხე. დილის ხუთ საათამდე ვისაუბრეთ და სამომავლო თანამშრომლობაზეც შევთანხმდით — ესპინარი წიგნის დაწერაში უნდა დამხმარებოდა. დიდსაფეხბურთო ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებული მშვენიერი სიზმარი კი ზღაპრად გაგრძელდა — ესპინარის წასვლიდან რამდენიმე წუთში ბრაზილიიდან დედამ დამირეკა.

„შვილო, ჩვენს სახლთან გულშემატკივრებმა კარნავალი მოაწყვეს...“ ამ მომენტამდე თავი რკინის ნერვების პატრონი მეგონა, დედაჩემთან საუბრის შემდეგ კი ფეხზე დგომა ველარ შევძელი — სავარძელში ჩავეშვი და თვალზე მომდგარი ცრემლიც ვერ შევიკავე...

### სახელის ტვირთი

თუ ჩემი წიგნის პირველი თავები პესიმიზმით იყო აღსავსე, მინდა, იმედიანი განწყობით დავასრულო. მსოფლიოს უამრავი უცნობი ფეხბურთელისთვის ხომ რივალდო ბრაზილიური ოცნებაა, რომელიც სინამდვილედ გადაიქცა.

მომდევნო, 2000 წელს, ფიფას ვერსიით მესამე ვიყავი, პირველი ადგილი ზინედინ ზიდანს მიაკუთვნეს, მეორე კი პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს. გასული წლის პომპეზური პირველობა თვალსა და ხელს შუა გამიქრა, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობდი. ასე თუ ისე, მე უფრო ოჯახის კაცი ვარ, ვიდრე ხმაურიანი პრესკონფერენციების გმირი შოუმენი. წიგნშიც სარეკლამო აქციებს ოდენ დავიდ ესპინარის თხოვნით ვიხსენიებ.

მოედნის გარეთ ჩემი საქმიანობის შესახებ სახალხოდ ლაპარაკი არ მიყვარს. ამიტომ რივალდოს ფონდის დაარსებასთან დაკავშირებით არავითარი პრეზენტაციები არ მომიწყვია. ფონდი რეალურად არსებობს და მისი მიზანი ოფიციალურ დოკუმენტშია ასახული: „რივალდოს ფონდი მიზნად ისახავს ხელმოკლე ესპანური და ბრაზილიური ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს ფეხბურთში წინსვლაში დაეხმაროს“. გარდა ფეხბურთისა, ღარიბებს ჩვენ სხვა სახის დახმარებასაც ვუწევთ.

მაგალითად, ფონდი ბრაზილიაში უქონელ მოსახლეობას შეძლებისდაგვარად პროდუქტებს უგზავნის. ჩვენი შემწეობით ღატაკთა რამდენიმე მოუწყობელ კვარტალში ასაფალტი დაიგო. ზუსტად ასეთ უბნებში იზრდებოდა პატარ რივალდო, სანამ ავტობუსი სტადიონამდე მიიყვანდა და დიდი ფეხბურთისკენ გზა გაეხსნებოდა. ძალიან მინდა, მსგავსი გზა ათობით ნიჭიერმა ბიჭუნამაც გაიაროს. ამ მიზნით მე და ბრაზილიის ნაკრების წევრმა სეზარ სამპაიომ შევქმენით სპეციალური კლუბი „გუარატონგეტა“, რომლის სელექციონერებიც ნიჭიერ ბავშვებს დიდი ფეხბურთისკენ გზას უკაფავენ.

ეს მარტო მცირედი ნაწილია რივალდოს საფეხბურთო მოედანს გარეთ საქმიანობისა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირად ბიზნესთან და საქველმოქმედო ფონდებთან დაკავშირებული ფაქტების სამზეოზე გამოტანას ვერიდები. ის კი არა, კაკაოს რეკლამის მოხსნაც ვთხოვე ტელევიზიიდან — ამ რეკლამაში ჩემი შვილი რივალდინიო მონაწილეობს, მე კი მინდა, ბავშვი ნორმალურად, სარეკლამო აყალმაყალის გარეშე აღვზარდო.

ასეთია ჩემი ცხოვრება ფეხბურთთან, სპორტის იმ სახეობასთან ერთად, რომლის სიყვარული პატარობიდანვე მამამ ჩამინერგა. სპორტული კარიერის განმავლობაში კარგიც ბევრი შემხვედრია და ცუდიც, თუმცა არ გავტეხილვარ. წაგებებისგან კი საჭირო მაგალითების გამოტანა ვისწავლე...

როდესაც ფიფას მორიგ გალა წარმოდგენაზე მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდება დავკარგე, არ დაგიმალავთ და დავსევდიანდი. თუმც მერე გამეცინა და ვიფიქრე — ბედზე მაინც გავიმარჯვე-მეთქი. ადრე „მოუხეშავს“ და „ხისფეხას“ მეძახდნენ, ახლა კი ჩემი სახელია რივალდო და კიდევ მსოფლიო „ოქროს ცაციას“ მეტსახელით მიცნობს...

დასასრული

# SHOOOOOOCK
## შოკი ექვსი ნულით



## ოლივეირა გონზე ვერ მოდის, ამდენი ფული რაში მიდის

**ბრაზილიელ** თავდამსხმელს რიკარდუ ოლივეირას ჯარიმა დაეკისრა, ერთი მილიონი ევრო. რა დააშავა? ის, რომ „სან პაულუში“ გაქირავების ვადა რომ გაუვიდა, დროულად და მორჩილად უნდა გამოცხადებულიყო გუნდში, რომელიც მისი ნამდვილი პატრონია — „რეალ ბეტისში“. და რამდენი ხანი დაიგვიანა ოლივეირამ? ცხრა დღე ანუ მაშინ გამოცხადდა, როდესაც „ბეტისს“ სეზონისწინა მზადების გეგმა უკვე მეორე და მესამე ეტაპზე ჰქონდა გადასული, ფეხბურთში კი, მოგეხსენებათ, ყოველ დღეს კონკრეტული ფუნქცია აქვს.

„ახლა, გაქირავების კონტრაქტის შესაბამისად მას ერთი მილიონი ევრო აქვს გადასახდელი. ეს ზუსტად ის თანხაა, რაც მას ხელშეკრულების მიხედვით დაგვიანებისთვის უნდა დაეკისროს“ — განაცხადა სევილიური კლუბის მთავარმა მეწილემ მანუელ რუის დე ლოპერამ.

სხვათა შორის, ლოპერას ჰკითხეს, ოლივეირა ახლა ხომ ჩამოსულია და ორშაბათის ვარჯიშზე რად არ ბრძანდებოდაო, რაზეც მან ღიმილით უპასუხა, რომ თავდამსხმელს ორი-სამი დღე დასვენება სჭირდება, თორემ შოკშია.

რიკარდუ ოლივეირა გასული წლის ნოემბრიდან მუხლის მყესებს მკურნალობდა და ვერ თამაშობდა, რის გამოც „ბეტისმა“ იგი გუნდის სიიდან ამოშალა და აპრილში „სან პაულუს“ მიაქირავა კიდეც. „სან პაულუში“ ფეხბურთელმა მართლაც გააგორა ბურთი და ლიბერტადორესის თასის ფინალში გასვლაში თავისი წვლილი შეიტანა.

ოლივეირა 2004-05 წლების სეზონში „ბეტისის“ საუკეთესო მეგოლე გახლდათ, როდესაც 22 გოლი გაიტანა და ისეთ კარგ ფორმაში იყო, რომ ბრაზილიის ნაკრებმა კოპა ამერიკასა და კონფედერაციათა თასზე წაიყვანა.

ვერ გეტყვით, შევა თუ არა ბრაზილიიდან გადმორიცხული „ოლივეირული მილიონი“ იმ სამ მილიონში, რომელიც „ბეტისის“ ანგარიშიდან ისევ ბრაზილიაში უნდა წავიდეს, მაგრამ ფაქტია, რომ სევილიელებმა „კრუზეიროდან“ ალეკსანდრო იყიდეს. ეს კაცი, რომლის სახელი თუ გვარი ჩვეულებრივი ალეშანდროსგან განსხვავებით ასე იწერება **ALECSANDRO** და ალბათ ისე იკითხება, როგორც ჩვენ შემოგთავაზეთ, 25 წლისაა და „კრუზეიროს“ შემადგენლობაში ანუ გასული წლის სექტემბრიდან, 29 თამაშში 45 გოლი გაიტანა.

პაპუნა ძიძია

# სამხრეთული ბაზელი: აფრიკა და ამერიკა

**შვეიცარიულმა** „ბაზელმა“ გერმანული „დორტმუნდიდან“ სამხრეთაფრიკელი დერლონ ბაკლი ერთი წლით ითხოვა.

28 წლის ფეხბურთელი ამ ზაფხულს იჯარით „ევერტონში“ ან „შეფილდ იუნაიტედში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და „ბაზელის“ პირობებს დათანხმდა. შვეიცარიული კლუბი შემდგომში ბაკლის კონტრაქტის გამოსყიდვის უფლებას იტოვებს.

ბაზელელებმა ბაკლიმდე, ბრაზილიელი ფორვარდი კრიშტიანუ ჰოლანდიური „როდასგან“ იყიდეს. 25 წლის მეგოლემ გუნდთან ერთი კვირა ივარჯიშა და მწვრთნელმა მისი დატოვება გადაწყვიტა.

„დენ ჰააგს“ და „ბრედას“ კრიშტიანუს გადაბირება სურდათ, მაგრამ ბრაზილიელმა შვეიცარიაში გადასვლა ინება.

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | . | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 19 | ქპრ-იფსვიჩი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 20 | კარდიფი-ბირმინგემი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 18:00 | 21 | კოლჩესტერი-დერბი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 22 | კრისტალ პალასი-ბარნლი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 23 | ჰალი-ქოვენთრი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 24 | ლესტერი-საუთენდი | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 25 | ნორვიჩი-ბარნსლი | 1.70 | 3.40 | 4.60 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 18:00 | 26 | საუთჰემპტონი-პრესტონი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 27 | სტოკი-პლიმუთი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 18:00 | 28 | ვულვერჰემპტონი-ლუტონი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 16:15 | 29 | უენსდი-ლიდსი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 30 | სანდერლენდი-ვესტ ბრომვიჩი | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 31 | ბლეკპული-ჯილინგემი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 32 | ბრედფორდი-როტერჰემი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 18:00 | 34 | ჩელტენემი-მილუოლი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 35 | ჩესტერფილდი-ტრანმერი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 36 | დონკასტერი-ბორნმუთი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 15:30 | 37 | ჰადერსფილდი-ნოტინგემი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 38 | ლეიტონი-სუონსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 41 | სკანთორპი-ბრენტფორდი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 42 | იოვილი-პორტ ვეილი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 33 | ბრაიტონი-ქრიუ | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 17:00 | 40 | ოლდემი-კარლაილი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 43 | აკრინგტონი-როჩდეილი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 44 | ბოსტონი-დონსი | 2.80 | 3.20 | 2.25 | 1.49 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 45 | როვერსი-შრიუსბერი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 46 | ბერი-გრიმსბი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 47 | ჰერეფორდი-ჰარტლპული | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 18:00 | 48 | მაკლსფილდი-უიკომბი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 18:00 | 49 | მენსფილდი-ლინკოლნი | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| 18:00 | 50 | ნოტსი-პიტერბრო | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 18:00 | 51 | სუინდონი-სტოკპორტი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| 18:00 | 52 | ტორკი-ჩესტერი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 53 | უოლსოლი-დარლინგტონი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 54 | რექსემი-ბარნეტი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 66 | იორკი-ბარტონი | 2.00 | 3.30 | 3.10 | 1.24 | 1.21 | 1.59 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 55 | ალდერშოტი-დაგ ენდ რედი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 18:00 | 56 | ალტრინჰემი-სტ.ალბანსი | 2.05 | 3.30 | 3.10 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 18:00 | 57 | კემბრიჯი-ჰალიფაქსი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 18:00 | 58 | ქროული-სტ.რეინჯერსი | 1.90 | 3.30 | 3.30 | 1.20 | 1.20 | 1.64 |
| 18:00 | 59 | ფორესტ გრინი-გრეივსენდი | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 60 | გრეისი-უოკინგი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 18:00 | 61 | კიდერმინსტერი-ვეიმუთი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 18:00 | 62 | მორიკომბი-სტივენეიჯი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 63 | ოქსფორდი-ნორთვიჩი | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 18:00 | 64 | საუთპორტი-რაშდენი | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 18:00 | 65 | ტემუორთი-ექსეტერი | 3.10 | 3.30 | 2.05 | 1.59 | 1.23 | 1.26 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 79 | აბერდინი-დანფერმლაინი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 80 | სელტიკი-ჰიბერნიანი | 1.28 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.12 | 3.00 |
| 18:00 | 81 | ფოლკირკი-მოზერუელი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 82 | ჰართსი-ინვერნესი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 18:00 | 83 | სტ.მირენი-დანდი იუნაიტედი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 84 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 6.00 | 3.70 | 1.50 | 2.28 | 1.20 | 1.06 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 85 | ერდრი-ჰამილტონი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 86 | კლაიდი-პარტიკი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 87 | დანდი-ლივინგსტონი | 2.55 | 3.20 | 2.30 | 1.41 | 1.20 | 1.33 |
| 18:00 | 89 | სტ.ჯონსტონი-როსი | 1.70 | 3.30 | 3.90 | 1.12 | 1.18 | 1.78 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 88 | ქუინი-გრეტნა | 6.00 | 3.60 | 1.45 | 2.25 | 1.16 | 1.03 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 90 | ალოა-სტირლინგი | 2.30 | 3.30 | 2.55 | 1.35 | 1.20 | 1.43 |
| 18:00 | 91 | ეარი-სტრანრარი | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 18:00 | 92 | ბრეჩინი-ფორფარი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 93 | პიტერჰედი-მორტონი | 2.90 | 3.30 | 2.00 | 1.54 | 1.18 | 1.24 |
| 18:00 | 94 | რეითი-კოუდენბითი | 2.65 | 3.30 | 2.20 | 1.46 | 1.20 | 1.32 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 18:00 | 95 | ალბიონი-ქუინზ პარკი | 2.50 | 3.20 | 2.30 | 1.40 | 1.19 | 1.33 |
| 18:00 | 96 | არბროთი-მონტროუზი | 1.85 | 3.30 | 3.45 | 1.18 | 1.20 | 1.68 |
| 18:00 | 97 | ბერიკი-დამბარტონი | 2.10 | 3.30 | 2.80 | 1.28 | 1.20 | 1.51 |
| 18:00 | 98 | ისტ სტირლინგი-სტენჰაუზმური | 5.50 | 4.00 | 1.40 | 2.31 | 1.11 | 1.03 |
| 18:00 | 99 | ელგინი-ისტ ფაიფი | 2.95 | 3.30 | 2.00 | 1.55 | 1.19 | 1.24 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 100 | შალკე-ვერდერი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 17:30 | 101 | ბაიერნი-ნიურნბერგი | 1:40 | 4.50 | 6.50 | 1.06 | 1.15 | 2.65 |
| 17:30 | 102 | ბოხუმი-კოტბუსი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:30 | 103 | ჰანოვერი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 17:30 | 104 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 17:30 | 105 | მიონხენგლადბახი-არმინია | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 17:30 | 106 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2.35 | 3.20 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.50 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 107 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 108 | მაინცი-აინტრახტი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 110 | კარლ ცაისი-კიოლნი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 20:00 | 111 | ფრაიბურგი-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.60 | 5.00 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 20:00 | 112 | ოფენბახი-კარლსრუე | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 113 | აუგსბურგი-ესენი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 16:00 | 114 | ბრაუნშვაიგი-კობლენცი | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| 16:00 | 115 | დუისბურგი-აუე | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 16:00 | 116 | ფიურტი-ჰანზა | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |
| 16:00 | 117 | კაიზერსლაუტერნი-პადერბორნი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 118 | ბურგჰაუზენი-მიუნხენი 1860 | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 119 | ვუპერტალი-ალენი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 21:30 | 127 | ვილჰელმშავენი-ლევერკუზენი(მ) | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 16:00 | 120 | დორტმუნდი(მ)-მიონხენგლადბახი(მ) | 1.85 | 3.30 | 3.40 | 1.18 | 1.19 | 1.67 |
| 16:00 | 121 | დინამო-დიუსელდორფი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 16:00 | 122 | ჰერტა(მ)-ზტ.პაული | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 16:00 | 123 | ლიუბეკი-კილი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 16:00 | 124 | მაგდებურგი-ოსნაბრიუკი | 2.65 | 3.20 | 2.25 | 1.44 | 1.21 | 1.32 |
| 16:00 | 125 | უნ ბერლინი-ემდენი | 1.85 | 3.20 | 3.55 | 1.17 | 1.21 | 1.68 |
| 16:00 | 126 | ვერდერი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 128 | კაიზერსლაუტერნი(მ)-მიუნხენი1860(მ) | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 21:00 | 129 | ფულენდორფი-რეუტლინგენი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 21:00 | 130 | ზაარბრიუკენი-ზიგენი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 131 | დარმშტადი-პირმასენსი | 1.60 | 3.30 | 4.80 | 1.07 | 1.20 | 1.95 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 132 | აალენი-ჰოფენჰაიმი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 16:30 | 133 | ინგოლშტადი-კიკერსი | 2.65 | 3.10 | 2.35 | 1.42 | 1.24 | 1.33 |
| 16:30 | 134 | კარლსრუე(მ)-ჰესენი | 2.35 | 3.20 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 135 | ბაიერნი(მ)-ელვერსბერგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 17:00 | 136 | შტუტგარტი(მ)-ვეენი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 139 | პაშინგი-რაპიდი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 141 | აუსტრია-რიდი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 19:15 | 142 | მატერსბურგი-ალტახი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 143 | ადმირა-ჰარტბერგი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:00 | 144 | ავსტრია მ-ლეობენი | 3.70 | 3.30 | 1.85 | 1.74 | 1.23 | 1.18 |
| 21:00 | 146 | კაფენბერგი-შვანენშტადტი | 4.00 | 3.20 | 1.80 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 21:00 | 147 | ლინცერი-პარნდორფი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 21:00 | 148 | ლუსტენაუ-კერნტენი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 160 | ვალენსია-ბეტისი | 1.60 | 3.40 | 5.80 | 1.08 | 1.25 | 2.14 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 151 | ბილბაო-სოსიედადი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 21:00 | 153 | ესპანიოლი-ტარაგონა | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 21:00 | 154 | დეპორტივო-სარაგოსა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 155 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 21:00 | 156 | რეალი-ვილიარეალი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 21:00 | 157 | უელვა-მალიორკა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 21:00 | 158 | რასინგი-ატლეტიკო | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 21:00 | 159 | სევილია-ლევანტე | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 23:00 | 152 | სელტა-ბარსელონა | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 169 | ლას პალმასი-სერესი | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 161 | ალავესი-ელჩე | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 20:00 | 162 | ალბასეტე-პონფერადინა | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 20:00 | 163 | ალმერია-ტენერიფე | 1.75 | 3.10 | 4.40 | 1.11 | 1.25 | 1.81 |
| 21:00 | 164 | კადისი-ვეცინდარიო | 1.50 | 3.50 | 6.20 | 1.04 | 1.20 | 2.23 |
| 20:00 | 165 | კასტელონი-რეალი(ბ) | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 20:00 | 166 | სიუდადი-პოლი ეხიდო | 1.75 | 3.10 | 4.50 | 1.11 | 1.25 | 1.83 |
| 14:00 | 167 | სპორტინგი-ვალიადოლიდი | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 20:00 | 170 | ნუმანსია-ლორკა | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 20:00 | 171 | სალამანკა-მურსია | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 174 | ლორიანი-ნანტი | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | [illegible] | 1.44 |
| 22:00 | 175 | სოშო-პსჟ | 2.65 | 2.80 | 2.80 | 1.36 | 1.36 | 1.39 |
| 22:00 | 176 | ტრუა-ტულუზი | 2.20 | 2.80 | 3.50 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 177 | მარსელი-ლე მანი | 1.60 | 3.30 | 6.00 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 20:00 | 178 | მონაკო-სედანი | 1.65 | 3.20 | 5.50 | 1.08 | 1.26 | 2.02 |
| 20:00 | 179 | ნანსი-ოსერი | 2.20 | 2.80 | 3.50 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| 20:00 | 180 | ვალენსიენი-რენი | 2.45 | 2.80 | 3.00 | 1.30 | 1.34 | 1.44 |
| 23:00 | 181 | სტ.ეტიენი-ლანსი | 2.20 | 2.80 | 3.50 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 182 | ამიენი-გრენობლი | 2.00 | 2.80 | 3.65 | 1.16 | 1.29 | 1.58 |
| 22:00 | 184 | კრეტეი-აიაჩო | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 22:00 | 185 | დიჟონი-ბრესტი | 1.70 | 3.00 | 4.50 | 1.08 | 1.23 | 1.79 |
| 22:00 | 186 | გენგამი-გენიონი | 1.90 | 2.80 | 3.80 | 1.13 | 1.26 | 1.61 |
| 22:00 | 187 | მონპელიე-ლიბურნი | 1.75 | 3.00 | 4.50 | 1.10 | 1.25 | 1.79 |
| 22:00 | 188 | ნიორი-რეიმსი | 2.00 | 2.80 | 3.60 | 1.16 | 1.28 | 1.57 |
| 22:00 | 189 | ტრუა-სტრასბური | 2.75 | 2.70 | 2.50 | 1.36 | 1.30 | 1.29 |
| 22:30 | 190 | ლე ავრი-კაენი | 2.50 | 2.80 | 2.65 | 1.32 | 1.28 | 1.36 |
| 22:00 | 191 | მეცი-ბასტია | 1.90 | 2.80 | 3.80 | 1.13 | 1.26 | 1.61 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 18:30 | 183 | შატორუ-ისტრი | 1.75 | 3.10 | 4.40 | 1.11 | 1.25 | 1.81 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 192 | სტანდარდი-ვარეგემი | 1.55 | 3.70 | 5.40 | 1.09 | 1.20 | 2.19 |
| 22:00 | 193 | ბევერენი-მუსკრონი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 22:00 | 194 | სერკლი-გენკი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 22:00 | 195 | ლიერსი-ბრიუსელი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:00 | 196 | მონსი-ვესტერლო | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:00 | 198 | სტ.ტრუიდენი-ბეერსხოტი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22:30 | 197 | რუზელარე-ლოკერენი | 2.25 | 3.30 | 2.90 | 1.33 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 199 | გენტი-შარლერუა | 2.00 | 3.30 | 3.40 | 1.24 | 1.25 | 1.67 |
| 22:30 | 200 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 21:30 | 210 | როდა-დენ ჰააგი | 1.60 | 3.30 | 5.30 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 211 | ჰერენვენი-ტილბურგი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 22:00 | 212 | ვალვაიკი-ექსელსიორი | 1.65 | 3.40 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 22:00 | 213 | უტრეხტი-სპარტა | 1.55 | 3.60 | 5.20 | 1.08 | 1.19 | 2.12 |
| 22:00 | 214 | ვიტესი-ალკმაარი | 3.20 | 3.30 | 2.00 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 16:30 | 215 | ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| 16:30 | 216 | ბრედა-აიაქსი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| 16:30 | 217 | ნაიმეგენი-გრონინგენი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 16:30 | 218 | ტვენტე-პსვ | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 244 | პორტუ-ლეირია | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 239 | ბეირა მარი-ავეში | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 241 | ბრაგა-ფერეირა | 1.45 | 3.80 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.42 |
| 23:45 | 246 | სპორტინგი-ბოავიშტა | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 242 | მარიტიმუ-ნასიონალი | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| 20:00 | 243 | ნავალი-ამადორა | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 23:30 | 245 | სეტუბალი-აკადემიკა | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 259 | პანათინაიკოსი-იონიკოსი | 1.15 | 6.00 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.10 |
| 20:00 | 261 | პაოკ-ირაკლისი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 255 | არისი-კერკირა | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:00 | 256 | კალამარია-ევალეო | 2.65 | 2.80 | 2.70 | 1.36 | 1.33 | 1.37 |
| 20:00 | 257 | ოლიმპია-ატრომიტოსი | 1.95 | 2.90 | 4.00 | 1.16 | 1.31 | 1.68 |
| 20:00 | 258 | ოფი-აეკ | 4.30 | 3.10 | 1.80 | 1.80 | 1.26 | 1.13 |
| 22:00 | 260 | პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 6.50 | 3.50 | 1.50 | 2.27 | 1.21 | 1.04 |
| 20:00 | 262 | ქსანთი-ერგოტელისი | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 263 | ბეშიქთაში-კონია | 1.40 | 4.30 | 6.80 | 1.05 | 1.16 | 2.63 |
| 21:00 | 264 | ანკარაგიუჯიუ-მანისა | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 265 | გალათასარაი-გაზიანთეფი | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 21:00 | 269 | გენჩლერბირლიგი-ანკარასპორი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 266 | ტრაბზონი-დენიზლი | 1.45 | 4.00 | 6.50 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 21:00 | 267 | ანტალია-სივასპორი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 21:00 | 268 | ერჯიესი-კაისერი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 21:00 | 270 | რიზე-ბურსა | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:30 | 271 | საკარია-ფენერბაჰჩე | 6.50 | 3.70 | 1.50 | 2.35 | 1.21 | 1.06 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 280 | კრაკოვია-გროცლინი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 22:00 | 287 | ზაგლებე-ბელჩატოვი | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:15 | 283 | ლეგია-გურნიკი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 21:00 | 284 | ოდრა-ლოძი | 2.10 | 3.10 | 2.95 | 1.25 | 1.22 | 1.51 |
| 21:00 | 285 | პოგონი-კორონა | 2.55 | 3.10 | 2.50 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 21:00 | 286 | ვიძევი-არკა | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 21:15 | 281 | ლეხი-ვისლა | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 20:00 | 282 | ლეჩნა-პლოცკი | 2.55 | 3.00 | 2.50 | 1.37 | 1.26 | 1.36 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 289 | ლიბერეცი-ბრნო | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| 21:00 | 290 | ბანიკი-კლადნო | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 291 | ბუდეიოვიცე-სლოვაცკო | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |
| 19:00 | 292 | პრჟიბრამი-იაბლონეცი | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.30 | 1.47 |
| 19:00 | 293 | სლავია-სიგმა | 1.45 | 3.60 | 6.00 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 21:00 | 294 | ზლინი-პლზენი | 2.00 | 3.00 | 3.45 | 1.20 | 1.26 | 1.60 |
| 22:15 | 295 | ბოლესლავი-სპარტა | 2.55 | 2.90 | 2.60 | 1.35 | 1.28 | 1.37 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 19:15 | 296 | ტეპლიცე-მოსტი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 297 | ინტერი-ტრენჩინი | 2.15 | 3.00 | 3.15 | 1.25 | 1.27 | 1.53 |
| 22:00 | 298 | ბ.ბისტრიცა-კოშიცე | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 22:00 | 299 | დუბნიცა-ნიტრა | 1.90 | 3.20 | 3.45 | 1.19 | 1.22 | 1.66 |
| 22:00 | 300 | რუჟომბეროკი-სლოვანი | 1.50 | 3.50 | 5.80 | 1.04 | 1.19 | 2.18 |
| 22:00 | 301 | ჟილინა-სინეცი | 1.30 | 4.10 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.71 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 302 | ტრნავა-პეტრჟალკა | 2.70 | 3.00 | 2.45 | 1.42 | 1.28 | 1.34 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 19:00 | 309 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 17:00 | 310 | ბრიონდბიუ-სილკებორგი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 17:00 | 311 | ჰორსენსი-ოდენსე | 3.50 | 3.10 | 2.05 | 1.64 | 1.29 | 1.23 |
| 17:00 | 312 | რანდერსი-ესბიერგი | 2.75 | 3.30 | 2.35 | 1.50 | 1.26 | 1.37 |
| 17:00 | 313 | ვიბორგი-ვეილე | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 20:00 | 314 | კოპენჰაგენი-ოლბორგი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 324 | ბრანი-მოლდე | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 326 | ლინი-სანდეფიორდი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 20:00 | 327 | ოდ გრენლანდი-ტრომსიო | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 20:00 | 328 | ვიკინგი-ვოლერენგა | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 22:00 | 329 | ლილესტრიომი-ჰამარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 21:00 | 330 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 20:00 | 353 | ქვიდინგი-მიალბი | 2.35 | 3.30 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 21:00 | 354 | ასირისკა-იონკოპინგი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:00 | 355 | ბრომაპოიკარნა-უმეა | 1.60 | 3.70 | 5.00 | 1.11 | 1.21 | 2.12 |
| 21:00 | 356 | ლიუნგსკილე-ფალკენბერგი | 2.00 | 3.30 | 3.35 | 1.24 | 1.25 | 1.66 |
| 21:00 | 357 | ნორჩიოპინგი-სუნდსვალი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 21:00 | 358 | ტრელებორგი-ლანდსკრონა | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 19:30 | 368 | ჰონკა-კუოპიო | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:30 | 369 | კტპ-ინტერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 427 | გრემიო-ფორტალესა | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:45 | 428 | სან პაულუ-პარანა | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 23:45 | 429 | ვასკუ და გამა-ფიგეირენსე | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22:00 | 465 | ბეიტარი-დინამო(ბქ) | 4.20 | 3.20 | 1.75 | 1.81 | 1.23 | 1.13 |
| 19:00 | 466 | ეთნიკოსი-რუზელარე | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 19:30 | 467 | პლოცკი-ჩერნომორეცი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 20:00 | 468 | დინამო(მნ)-პეტრჟალკა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 20:00 | 469 | კაუნასი-რანდერსი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 20:00 | 470 | კაისერი-ტირანა | 1.15 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.04 | 3.66 |
| 20:00 | 471 | სკონტო-მოლდე | 2.25 | 3.00 | 2.80 | 1.28 | 1.24 | 1.44 |
| 20:30 | 472 | ბატე-რუბინი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 20:30 | 473 | დომჟალე-ჰაპოელი(თ.ა) | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 20:30 | 474 | რაპიდი(ბ)-სარაევო | 1.25 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.13 |
| 21:00 | 475 | მეტალურგი(ზ)-ზიმბრუ | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 21:30 | 476 | ატვიდაბერგი-ბრანი | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 21:30 | 477 | გრასჰოპერი-ვიდეოტონი | 1.25 | 4.80 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.06 |
| 21:30 | 478 | ლოკომოტივი ბ-ბნეი იეჰუდა | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 21:30 | 479 | ვადუცი-ბაზელი | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 21:45 | 480 | ტრაბზონი-აპოელი ნ | 1.30 | 4.20 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.75 |
| 22:00 | 481 | ოსერი-ოფკ ბეოგრადი | 1.20 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.06 | 3.36 |
| 22:00 | 482 | ლევადია-ტვენტე | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 22:00 | 483 | სიონი-რიდი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:30 | 484 | ბრიუგე-სუდუვა | 1.05 | 6.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 4.77 |
| 22:30 | 485 | დერი-გრეტნა | 1.75 | 3.20 | 4.00 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 22:30 | 486 | ჰაიდუკი კ-ცსკა(ბულ) | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 22:30 | 487 | ვისლა-მატერსბურგი | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 22:45 | 488 | ბრიონდბიუ-ფლორა | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 22:45 | 489 | დროგედა-სტარტი | 3.10 | 3.10 | 2.05 | 1.54 | 1.23 | 1.23 |
| 21:45 | 490 | ლიტექსი-ომონია | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 491 | ლანელი-ოდენსე | 4.70 | 3.30 | 1.60 | 1.93 | 1.19 | 1.07 |
| 22:45 | 492 | მარსელი-იანგ ბოიზი | 1.40 | 3.60 | 7.50 | 1.00 | 1.17 | 2.43 |
| 22:45 | 493 | ნიუკასლი-ვენტსპილსი | 1.12 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.03 | 4.19 |
| 22:45 | 494 | სლავია-კარვანი | 1.11 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.01 | 4.21 |
| 23:00 | 495 | მარიბორი-პარტიზანი | 3.05 | 3.10 | 2.15 | 1.53 | 1.26 | 1.26 |
| | | **სამხ.ამერიკ.თასი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 23:45 | 566 | უნივერსიტარიო-ბოლივარი | 2.40 | 3.30 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 23:45 | 567 | უაჩიპატო-კოლო კოლო | 2.30 | 3.20 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |
| | | **იტალია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **26 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 568 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.10 | 4.40 | 1.13 | 1.27 | 1.81 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **24 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 532 | ლეიტონი-ვესტ ბრომვიჩი | 4.20 | 3.40 | 1.65 | 1.87 | 1.18 | 1.11 |
| | | **უეფა სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **25 აგვისტო** | | | | | | |
| 22:45 | 551 | ბარსელონა-სევილია | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |

## მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. იაპონია. 19 აგვისტო - 3 სექტემბერი

# იაპონიაში სხვათა სისხლი დაიღვრება

## თურქები და ბერძნები ქვეყნის ამოსალიერშიც ომობენ


ბრაიან ბეშარა-ფეხალის ლიბანი ბორის დიაუს საფრანგეთზე მაღლა ახტა

### A ჯგუფი

23 აგვისტო

**არგენტინა 98:64 ნიგერია**

**არგენტინა:** ნოჩიონი (23), ჯინობილი (20), სკოლა (12), ჰერმანი (12)
**ნიგერია:** მუონეკე (10)

**სერბეთი 90:65 ვენესუელა**

**სერბეთი:** იაკოჩევიჩი (26), მილიჩიჩი (18 ქულა, 11 მოხსნა, 6 დაფარება), ავდალოვიჩი (12)
**ვენესუელა:** დიასი (11), ლუგო (10 ქულა, 13 მოხსნა)

**ლიბანი 74:73 საფრანგეთი**

**ლიბანი:** ელ ჰატიბი (29), ფექჰალი (13)
**საფრანგეთი:** დიაუ (14), პიეტრუსი (13)

აფრიკის, აზიისა და გინდაც ლათინური ამერიკის გუნდები არგენტინას აბა, რა მეტოქედ მიუვლენ?! ვერც ნიგერია ებრძოლა ტოლ-სწორად ოლიმპიურ ჩემპიონებს და 34-ქულიანი სხვაობა კიდევ კარგად ვერ ასახავს ამ ორი გუნდის ძალთა თანაფარდობას. თუმცაღა არგენტინელთა თავკაცმა სერხიო ენანდესმა ნამატჩევს რევერანსი გაუკეთა აფრიკელებს — ძალიან კარგი გუნდია და მაგრადაც შემოგვიტიესო.

რეალურად კი ერნანდესმა კვლავ იაფად ივაჭრა, ისევ დაასვენა თავისი გუნდის ორი ნბა-ელი ვარსკვლავი, მანუ ჯინობილი და ანდრეს ნოჩიონი — პირველი 17 წუთით ათამაშა, მეორე — 18-ით. ამის მიუხედავად, ჯინობილიმ მაინც მოახერხა 20 ქულის მობოჭვა, ნოჩიონის კი 23 მოუგროვდა.

ცალკე აბზაცს იმსახურებს ნოჩიონი, ვინც უნიკალური მატჩი ჩაატარა, თამაშიდან ბურთი არ აუცილებია, ხუთიდან ხუთი სამქულიანი დასჭექა და ზედაც ოთხი ორიანი მიაყოლა. პირველ მეოთხედში მას სხვა ბევრიც არაფერი უკეთებია, იდგა პერიმეტრზე და სამიანებს უშენდა აფრიკელებს. ოთხივე ჩაუგდო და მერე, ძირითადად, ორიანებზე გადავიდა.

„არა მგონია, ოდესმე ასე მეთამაშოს, ნაკრებში მაინც" — ამბობდა ნოჩიონი ნამატჩევს.

ბევრად უარესად არც ჯინობილის უსვრია — ოთხიდან სამი სამიანი და ხუთიდან ოთხი ოთხიანი ჩააგდო. არგენტინამ პრაქტიკულად და თეორიულადაც გაინაღდა ჯგუფში პირველი ადგილი. დღეს სერბეთთან შეგნებულად წაგებას, ალბათ, არც იკადრებს და რომც წააგოს, მისი დამწევი გუნდი არ მოიძებნება ჯგუფში, რაკიღა ყველას მოეძევება მინიმუმ ორი მარცხი.

გუშინ: საფრანგეთს უდაძაბულეს ბრძოლაში ერთქულიანი მოგება გამოჰგლიჯა ლიბანმა(!) და ჯგუფიდან გასვლის შანსებიც ერთიორად გაზარდა. სერბები, ალბათ, გავლენ, მეოთხე გამსვლელის ვინაობა კი ლიბანი — ნიგერიას შეხვედრაში გადაწყდება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *არგენტინა* | 4 | 0 | +121 | 8 |
| სერბეთი | 2 | 2 | +61 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 2 | +4 | 6 |
| ლიბანი | 2 | 2 | -71 | 6 |
| ნიგერია | 1 | 3 | -45 | 5 |
| ვენესუელა | 1 | 3 | -70 | 5 |

**ბოლო ტური. დღეს**
**არგენტინა — სერბეთი**
**ლიბანი —ნიგერია**
**საფრანგეთი — ვენესუელა**

### B ჯგუფი

23 აგვისტო

**ესპანეთი 93:83 ანგოლა**

**ესპანეთი:** გასოლი (28), ფერნანდესი (16), გარბახოსა (15), ნავარო (12)
**ანგოლა:** გომეში (24 ქულა, 11 მოხსნა), ალმეიდა (18), კარვალიო (12)

**გერმანია 81:63 პანამა**

**გერმანია:** ნოვიცკი (25 ქულა, 13 მოხსნა), გრინი (12), შულცე (10)
**პანამა:** ჰიკსი (9), გომესი (9), დეილი (9), პერალტა (9), დუგლასი (9

**ახალი ზელანდია 60:57 იაპონია**

**ახალი ზელანდია:** კემერონი (23), პენი (13), ბრედშოუ (12)
**იაპონია:** ორიმო (14), ამინო (13)

ამ ჯგუფში ყველაფერი იოლად გადაწყდა — რაიმე სინჯის მედალზე ორიენტირებულმა გერმანიამ მძლავრ ესპანეთს ვერ მოუგო და თუ დღეს ყოჩაღ ანგოლას აჯობებს, მერვეფინალისთვის შედარებით იოლ A ჯგუფელს შეიხვედრებს. მასპინძელმა იაპონიამ გუშინწინ უხეირო პანამა დაამარცხა, გუშინ ახალი ზელანდია ვერ დაამარცხა და, ფაქტობრივად, ჯგუფში ჩარჩა. ხოლო იაპონიის მძლეველმა ახალმა ზელანდიამ მესამე ადგილისთვის დავაში თავი შეირცხვინა გუშინდლამდე უძლეველ ანგოლასთან და მერვედფინალში გოროზი არგენტინა შეიტაკა. თავის მხრივ, ანგოლელებმა ფიცხელი ბრძოლა კი გაუმართეს ესპანეთს, მაგრამ...

...რაღა ბევრი ვისაუბროთ ამ მოსაწყენ ჯგუფზე...

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *ესპანეთი* | 4 | 0 | +91 | 8 |
| *ანგოლა* | 3 | 1 | +50 | 7 |
| *გერმანია* | 3 | 1 | +32 | 7 |
| იაპონია | 1 | 3 | -20 | 5 |
| ახ. ზელანდია | 1 | 3 | -59 | 5 |
| პანამა | 0 | 4 | -92 | 4 |

**ბოლო ტური. დღეს**
**გერმანია — ანგოლა**
**ახალი ზელანდია — პანამა**
**ესპანეთი — იაპონია**

### C ჯგუფი

23 აგვისტო

**ლიტვა 78:57 ავსტრალია**

**ლიტვა:** მასიაუსკასი (20), იავტოკასი (16 ქულა, 12 მოხსნა), სონგაილა (14)
**ავსტრალია:** ნიული (15), ბოგუტი (12)

**თურქეთი 76:69 ყატარი**

**თურქეთი:** ატსური (12), აქიოლი (10), არსლანი (10)
**ყატარი:** საეედი (20), ალი (15), სალემი (11 ქულა, 13 მოხსნა)

**საბერძნეთი 91:80 ბრაზილია**

**საბერძნეთი:** ხაძივრეტასი (14), პაპალუკასი (14), პაპადოპულოსი (12)
**ბრაზილია:** მაჩადო (25), სპლიტერი (18), გარსია (17)

ვერ გამოვიდა ეს ზაფხული წარმატებული ბრაზილიელებისთვის. კალათბურთელები იაპონიაში ისეთი სუპრგუნდითა და სუპერამბიციებით ვერ ჩავიდნენ, როგორც ფეხბურთელები გერმანიაში, მაგრამ მედლებისთვის ბრძოლას კი გეგმავდნენ. ახლა ისე გამოდის, საერთოდ, ვერ გაალწევენ ჯგუფიდან. მათ ყველა პრინციპული მატჩი წააგეს, ავსტრალიასთანაც კი. მარტო ყატარის დაჩაგვრით კი ცისარტყელაზე ვერ ისრიალებ! ბარბოსას, ვარეშაოს, მაჩადოს, სპლიტერსა და ამათ თანამემარცხეებს ერთი შანსი რჩებათ — დღეს თავი უნდა შეაკლან ლიტვას და გამარჯვება ომით მოიპოვონ, არადა, აღარაა მათი საშველი. მაგრამ, თავის მხრივ, არც ლიტვაა ისე დალხენილი, უშუალო კონკურენტს გამარჯვება უსაჩუქროს. მოკლედ, დღეს ომი იქნება.

გუშინ კი ბრაზილიელებს ომი არ გამოუვიდათ. საბერძნეთთან პირველივე ტაიმში 17 ქულით ჩაიფლავეს თავი და ვერც მეორეში გააკეთეს რამე ხეირიანი.

ბრაზილია ლიტვასთან ომისთვის ემზადება, თუმც დიდი შანსია, ამავე ჯგუფში უფრო სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტა ატყდეს. ძველი მოსისხლეები სპორტშიც და რეალურ ცხოვრებაშიც, ჯერაც დაუმარცხებელი თურქები და ბერძნები ერთმანეთს ასკდებიან და თურქეთსა და საბერძნეთში ბავშვებმაც კი იციან, რომ ეს თამაში გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჯგუფში პირველობისთვის ბრძოლა. თურქებმა გუშინ ყატართან ორივე ლიდერი — ერდოგანი და ქუთლუაი 40-ვე წუთით დაასვენეს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *საბერძნეთი* | 4 | 0 | +39 | 8 |
| *თურქეთი* | 4 | 0 | +19 | 8 |
| ლიტვა | 2 | 2 | +55 | 6 |
| ბრაზილია | 1 | 3 | +12 | 5 |
| ავსტრალია | 1 | 3 | -26 | 5 |
| ყატარი | 0 | 4 | -99 | 4 |

**ბოლო ტური. დღეს**
**ლიტვა — ბრაზილია**
**საბერძნეთი — თურქეთი**
**ავსტრალია — ყატარი**

### D ჯგუფი

23 აგვისტო

**აშშ 94:85 იტალია**

**აშშ:** ენტონი (35), ვეიდი (26), ბრენდი (16)
**იტალია:** ბელინელი (25), მარჩინელი (12), დი ბელა (12)

**სლოვენია 90:82 პუერტო რიკო**

**სლოვენია:** ლაკოვიჩი (24), უდრიჰი (16), ბრეჟეცი (14), ნესტეროვიჩი (12), ნახბარი (10 ქულა, 11 მოხსნა)
**პუერტო რიკო:** აროიო (21), აიუსო (20), აპოდაკა (10), რამოსი (10)

**ჩინეთი 100:83 სენეგალი**

**ჩინეთი:** მინი (26), ჟიჟი (19), ვანი (17), ლიუ (16)
**სენეგალი:** აუ (19 ქულა, 10 მოხსნა), ნდოიე (14), სისე (12)

პირველი სერიოზული გამოცდა არცთუ რიხით ჩაბარეს ამერიკელებმა. მანამდე ჯგუფში სამივე თამაშის მომგებ იტალიელებს კოჭებზე და წარბებზე ეტყობოდათ, რომ მოედანზე წასაგებად არ გასულან და აკი, ისეთი ბრძოლა გაუმართეს ამერიკელებს, თქვენი არ ვიცი და, ბინ ლადენს რომ ეამებოდა. ნბა-ელთა თავკაც მაიკ კრჟიჟევსკის პირველად მოუხდა 12-ვე შეგირდის თანაფარდოვან დახმარებაზე უარის თქმა, ექსპერიმენტების და ლოიალობის დრო სად იყო და საუკეთესო ძალები სრულად ჩართო ბრძოლაში. შედეგად იქულუხვეს კარმელო ენტონიმ და დუეინ ვეიდმა. ცოტა ფხა აკლდა ლებრონ ჯეიმსს, მისკბილა ენტონიმ კი 35 ქულა ჩაუგდო ბოლომდე მებრძოლ იტალიელებს და ტურნირის რეკორდიც მიიწერა.

მატჩის პირველივე წუთებიდან გაცხადდა, რომ იტალია არაფერს დათმობდა. პირველი მეოთხედის 6 ქულით წაგების შემდეგ კარლო რეკალკატის შეგირდებმა ჯოჯოხეთური 10-წუთეული გაუმართეს ნბა-ელებს და 26:11 მოგების შემდეგ დიდ შესვენებაზე 9-ქულიანი უპირატესობითაც წავიდნენ.

ამერიკელები დროზე გამოერკვნენ და ახლა მათ დაანთეს ცეცხლი იაპონურ პარკეტზე, საკუთარი ფარის მისადგომებს მაღალი მესერი შემოავლეს, შეტევაში კი ფრთები გამოისხეს და ცოტა მოღლილი იტალიელები (ამათ ისედაც არ ჰყავთ იდეალური შემადგენლობა) მესამე 10-წუთეულში 35:19 შემუსრეს.

აპენინელები არ ტყდებოდნენ და ბოლომდე იბრძოდნენ, გვარიანადაც აწვალეს მეტოქე, საბოლოოდ კი ისლა მოახერხეს, რომ ერთნიშნა რიცხვით, საპატიო სხვაობით წაეგოთ.

როგორც იქნა, იაო მინის ჩინეთმაც გასინჯა გამარჯვების ვაშლი, ცოტა ნაგვიანევად კი. დღეს მილიარდერელები მესამე ადგილისთვის მებრძოლ სლოვენიას ხვდებიან და ჯგუფიდან გამსვლელ-ვერგამსვლელის ვინაობაც აქ გაირკვევა.

**ქოტე ყორშია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *აშშ* | 4 | 0 | +70 | 8 |
| *იტალია* | 3 | 1 | +18 | 7 |
| პუერტო რიკო | 2 | 2 | -7 | 6 |
| სლოვენია | 2 | 2 | +2 | 6 |
| ჩინეთი | 1 | 3 | -32 | 5 |
| სენეგალი | 0 | 4 | -51 | 4 |

**ბოლო ტური. დღეს**
**სლოვენია — ჩინეთი**
**იტალია — პუერტო რიკო**
**აშშ — სენეგალი**


„ლულა" ფერეირამ ხელები გაშალა: მისი ბრაზილია ვერ ყოჩაღობს




# გაისად ამ კორპუსში ახალი კადეტები იქნებიან

## ქართველებმა ესტონეთში სულიკო იპოვეს

ესტონეთიდან A დივიზიონის საგზურით დაბრუნებული კადეტების ხელმძღვანელობამ გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა. ჩვენმა 16-წლამდელებმა ბალტიისპირეთში გამართულ ევროსაკვალიფიკაციოზე მთავარ მიზანს მიაღწიეს, ფინალში გავიდნენ, თუმც უმჯობესი იქნებოდა, ახალგაზრდული ნაკრების დარად, კადეტებსაც საჩემპიონო თასი ჩამოეტანათ. ელიტაში ფინალში გასული გუნდები გადადიოდნენ, მაგრამ სიმბოლურად ჩემპიონის ვინაობაც უნდა გარკვეულიყო და ეს ტიტული ქართველებს ჩეხებმა აართვეს, რომლებმაც, სხვათა შორის, ჩვენებს ჯგუფურ ეტაპზეც მოუგეს.

პრესკონფერენციაზე მთელი კადეტთა კორპუსი მოვიდა. მწვრთნელ-მოთამაშეებს ვერცხლის მედლები ამშვენებდათ. ჟურნალისტებს კი გუნდის მწვრთნელები, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი და მიხეილ კობეშავიძე ესაუბრნენ

— მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველა მოთამაშეს. მათ გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღეს, ბოლომდე იბრძოლეს და მიზანსაც მიაღწიეს — განაცხადა ***ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა*** — თუმც ალბათ ვერც ვერაფერს მივაღწევდით, რომ არა გუნდის ექიმი ზურაბ იოსელიანი. ამ კაცმა სასწაულები მოახდინა, ღამეებს ათენებდა და ისეთი ხალხი, რომელთა თამაშიც გამორიცხული იყო, ფეხზე დააყენა. არადა, ტრავმირებულები იმდენი გვყავდა... ვაჟა მეტრეველი, ტატო ჩაჩიბაია, ნოდარ შენგელია, დავით მაისურაძე, ალეკო ძიძიგური, გიორგი გასიტაშვილი. გუნდის ლიდერებმა ტურნირის განმავლობაში ორჯერ მოასწრეს ტრავმის მიღება და მორჩენა. ძიძიგურის საქმე საერთოდ სავალალოდ იყო. შეიქმნა საშიშროება, რომ ის ხეიბრად დარჩენილიყო და ბოლო ორ, ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩში აღარ ვათამაშეთ.

საქართველოს ნაკრებმა ორჯერ წააგო ჩეხეთთან და აქედან მეორე ფინალური მატჩი იყო. ყველა ფიქრობდა, რომ ქართველები რევანშს აიღებდნენ სლავებზე, მაგრამ...

— ჩეხეთს არც ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ და, ცხადია, არც სუსტი — განაგრძო ჩერქეზიშვილმა — ფინალის დაწყებამდე ვისაც კი შევხვდი, ყველა ჩვენს გამარჯვებას ვარაუდობდა. თან უბრალოდ კი არა, დიდი ანგარიშით მოიგებთო. რომ წავაგეთ, ალბათ ისევ და ისევ ჩვენი, მწვრთნელების ბრალია. ვათამაშეთ ტრავმირებული კალათბურთელები, რომლებიც მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერობდნენ ჩვენს გუნდს და რაკი ბოლო მატჩი იყო, ამიტომაც მივენდეთ. სამწუხაროდ, ისეთი გადაღლილები და გათანგულები იყვნენ, რომ ჩეხებს ბოლო მეოთხედში ვეღარ გაუძლეს. არადა, მანამდე მეტოქეს კუდში მივდევდით...

— შეიძლება, ვინმეს ეგონოს, რომ რაკი A დივიზიონის საგზური მოვიპოვეთ, ფინალში მოგებისთვის რამეს დავიშურებდით. მოტივაცია ჩეხებს თუ ჰქონდათ, ჩვენ რატომ არ უნდა გვქონოდა. გამარჯვება ძალიანაც გვინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევძელით. ჩეხებთან მარცხის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ მებრძოლი სულისკვეთების ნაკლებობა იყო, რაც პირადად ჩემს თაობას არასდროს აკლდა. მაშინ, საკავშირო პირველობაზე, ქართველები ხან რუსებს ვეჯიბრებოდით, ხან ყაზახებს, ბალტიისპირელებს და სხვა ეროვნების სპორტსმენებს. ამ თაობას კი საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება თითქმის არ აქვს. ისინი ჯერ მხოლოდ 15-16 წლისანი არიან და საერთაშორისო არენაზე ახლა გადიან.

ქართველებს ბალტიისპირეთში არცთუ ურიგო ქომაგობა ჰქონდათ. ესტონეთის ქართული დიასპორა ჩვენი კადეტების მატჩებს არ აცდენდა და ჩერქეზიშვილის გუნდს ყველანაირად გვერდში ედგა. ამის თაობაზე კადეტთა მეორე მწვრთნელმა ***მიხეილ კობეშავიძემ*** ისაუბრა...

— ესტონეთში მცხოვრები ქართველობა სულ გვერდში გვედგა. მოდიოდა ყველა ასაკის ადამიანი — ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები. ყველა იმას გვეკითხებოდა, რა გაკლიათ, რა მოგიტანოთო. იმდენი ტრავმები გვქონდა, დოლბანდები გაგვითავდა და ეს რომ გაიგეს, იმდენი მოგვიტანეს, ხუთჯერ გადავეხვეოდით მთელი გუნდი მასში. ხომ ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი პატივისცემა არსად გვიგვრძნია. A დივიზიონის საგზური რომ მოვიგეთ, იქაურმა ქართველებმა ტალინში მდებარე რესტორან „სულიკოში“ დაგვპატიჟეს და დიდი ბანკეტი გადაგვიხადეს...

— ძალიან გახარებულები ვართ, ევროპის ელიტას რომ დავუბრუნდით, თუმც ამ ბიჭებს, ახლა უფრო მეტი ზრუნვა სჭირდებათ, რომ სამომავლოდ უკეთეს შედეგებს მიაღწიონ. კალათბურთის ფედერაციამ და მერიის საქალაქო სპორტის სამსახურმა ყველაფერი გააკეთეს ჩვენი გუნდისთვის, რისთვისაც მადლობა მათ.

ასე და ამგვარად, ახალგაზრდების მსგავსად, კადეტებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპზე თამაშის უფლება, თუმც იმ გუნდებიდან, რომლებმაც წლეულს იყოჩაღეს, გაისად მხოლოდ 2-3 კალათბურთელი ითამაშებს ევროპირველობას. მიზეზი, თავისთავად, ასაკია.

**ირაკლი პერტაია**



# გატლინს რვა წელი მიუსაჯეს

**არ ცხრება** ნაირგვარ დოპინგსკანდალებთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებს მოიცავს, უფრო მეტი კი მძლეოსნები არიან. მათგან ყველაზე რეზონანსული მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანების ირგვლივ ატეხილი ხმაურია, რომელიც ისევე სწრაფად ვრცელდება, როგორც მათ მიერვე დამყარებული მსოფლიოს რეკორდების ამბავი. ჰოდა, არის ერთი ამბავი და ვნებათაღელვა: სინჯები, განმეორებითი ანალიზები, მხილება, თავის მოჭრა, რეკორდების გაუქმება, მედლების ჩამორთმევა, დისკვალიფიკაცია, დანგრეული კარიერა, ბუნდოვანი მომავალი...

არადა, რა სახელებია: ტიმ მონტგომერიო, ჯასტინ გატლინიო, მერიონ ჯონსიო, მერე ისევ გატლინიო, ისევ ჯონსიო... ჭკუას კი მაინც ვერ სწავლობენ. ეტყობა, მართლაც — ძალზე მაცდურია ფინიშთან დაწყობილი ოქროს მედლები და ოქროს ზოდები.

ერთი სიტყვით, ისევ იმ შავი ამერიკელი ქალ-ვაჟის, მერიონისა და ჯასტინის ირგვლივ ვხმაურობთ..

მერიონ ჯონსისა გუშინ მოგახსენეთ, დღეს ჯასტინ გატლინის დოპინგსკანდალის ცხელ-ცხელი ამბისა ვთქვათ.

მიუხედავად იმისა, რომ გატლინი თავის კარიერაში მეორედ გაება სადოპინგო ხაფანგში, ეტყობა, მას ახლა სამუდამო დისკვალიფიკაციით კი არა, შეჯიბრებებიდან რვაწლიანი მოკვეთით დასჯიან. დამსჯელები ითვალისწინებენ, რომ გატლინი დათანხმდა ამერიკის ანტიდოპინგურ სააგენტოსთან თანამშრომლობას, რაც სპორტსმენების მიერ მასტიმულირებელი პრეპარატების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას ხელს შეუწყობს. იმასაც ითვალისწინებენ, რომ გატლინმა ჯერ კიდევ საუნივერსიტეტო გუნდში გამოსვლისას გამოიყენა მასტიმულირებელი პრეპარატი წინასწარგანუზრახავად. ახლა იმასაც ანგარიშს უწევენ, რომ წლეულს, 22 აპრილს, კანზას სიტიში აღებული სინჯის დადებითი პასუხის მერე გატლინმა რამდენიმე დღის მერე იმ ანალიზის ობიექტურობა აღიარა.

ასეა თუ ისე, გატლინი აღარ ჩაითვლება 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდის (9,77) ერთ-ერთ ავტორად თუ თანაავტორად. რეკორდის ერთადერთი მფლობელი ისევ იამაიკელი ასაფა პაუელი იქნება, გატლინი კი...

გატლინი რვა წლის მერე მეტოქეებს, როგორც კონკურენტი, აღარც ემახსოვრებათ, მისი რვაწლიანი დისკვალიფიკაცია ხომ სპორტული კარიერის დასრულების ტოლფასია.

არადა, მთავარი დამნაშავე, ეტყობა, მართლაც მწვრთნელი ტრევორ გრემია, რომელსაც ჯასტინ გატლინის, მერიონ ჯონსის, ტიმ მონტგომერისა და ჩრდილოამერიკული პროფესიული ლიგის სხვა სპორტსმენთა აღზრდა და დაცემა უკავშირდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



AFP



# პატარები დიდ მარაქაში

**კუალა ლუმპურში,** მალაიზიის ამ უმშვენიერეს ქალაქში, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდა წყალში მხტომელები შეიკრიბნენ. უფრო სწორად, აქ არიან ყველანი ან თითქმის ყველანი, ვისთანაც ეს სახეობა მეტ-ნაკლებად დანერგილ-განვითარებულია, ასეთი კი 50-მდე ქვეყანა აღმოჩნდა, მათ შორის, საქართველო.

ჩვენი სპორტსმენები ამგვარ შეჯიბრებაში ამ ათი წლის წინათ პირველად და უკანასკნელად გამოვიდნენ. ამდენად, ამჟამინდელი პირველობა მათთვის დებიუტის ტოლფასია, თუმცა საქართველოს წყალში მხტომელები მეტოქეებს ასაკით ჩამორჩებიან და თოთხმეტ-თხუთმეტი წლისანი, ძირითადად, 19 წლის სპორტსმენებს ეჯიბრებიან. ამიტომ მათგან მედალს არც არავინ ელის, ფინალში მოხვედრა კი, სადაც თორმეტნი გადიან, დიდ მიღწევად ჩაეთვლებათ.

ასეა თუ ისე, გუშინ ჩვენი სპორტსმენებიდან გიორგი გევორქიანი პირველი ჩაება ბრძოლაში. იგი 35 მეტოქესთან ერთად 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინალში ვერ მოხვდა, თუმცა ამის შანსი მას კიდევ ექნება, როცა შოთა კორახაშვილთან ერთად მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონული ხტომებში გამოვა. თავის მხრივ, დღეს კორახაშვილი კოშკიდან ეცდება ფინალში მოხვედრას.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ლინდსი დევენპორტი ისევ კორტზეა



AFP ნიუ ჰევენიდან

ეს შავტუხა ბიჭი და ისიც მაინდამაინც მშობლიურ კორტებზე გასამართ დიდ ჯახებს ხვდება საზიზღარ ფორმაში. ბლეიკი წინა კვირებშიც ვერ იყო სათამაშო იშტაზე და პანტაპუნტით აგებდა საწყის წრეებში. ახლაც გააგრძელა ეს არცთუ სასიამოვნიო ტრადიცია.

ნიუ ჰევენის შარშანდელმა მომგებმა იანკმა ფარ-ხმალი ესპანელ რამირეს-იდალგოსთან დაყარა. არადა, ბლეიკს ხუთი მატჩ-პოინტი ჰქონდა და მისი კლასის პატრონს ერთი მაინც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ... ესპანელი არც მეტოქის სახელს შეუშინდა და არც იმას, რომ მანამდე კარიერაში ერთხელაც არ ემარჯვა ჰარდზე და ამერიკელი დააჩოქა.

გუშინ კიდევ ერთ განთესილს ახადეს სკალპი, მაგრამ ამაზე კი ადგილბრივ გულშემატკივრებს ნაღდად არ უდარდიათ. ამჯერად ესპანელ-ამერიკელმა როლები გაცვალეს — ფავორიტი პირინეელი დავიდ ფერერი საშუალო დონის მარდი ფიშმა დასცა და იანკებს ბლეიკის მარცხით გამოწვეული მწუხარება ოდნავ გაუნელა.

მცირე იმედი მიეცათ რუსებსაც. სლავები მარატ საფინისგან კარგს ალარაფერს ელიან, რადგანაც წლეულს იმდენად "დიდებულად" ჩაუქობს, რომ ასეულის მიღმაც აღმოჩნდა. ამიტომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ნიკოლაი დავიდენკოსგან ელიან წარმატებებს. თუმც ვერც კოლია ბატონი იყო აქამდე მხნედ ამერიკულ ჰარდზე, მაგრამ ნავსი ნიუ ჰევენში გატეხა და ახლა თვითონაც იმედიანადაა.

ქალთა ტურნირზე კი სერიოზული შემადგენლობა შეიკრიბა და იქ სერიოზული ჯახებიც იქნება. აწ გასრულებული მატჩებიდან კი ლინდსი დევენპორტის მოგება უნდა აღინიშნოს, რომელმაც ექვსთვიანი შესვენების შემდეგ გამარჯვების გემო გაიხსენა. ამერიკელმა კატარინა სრებოტნიკს მოუგო.

თავის შარშანდელ „ფორმას" უბრუნდება მისკინა — წლეულს თითქოს ცოტა გამოსწორდა და აქა-იქ ძველებური თამაშიც აჩვენა, თუმც ბოლო კვირებში კვლავაც ამაზრზენად თამაშობს, უფრო კი წვალობს.

ამასობაში კი სვეტლანა კუზნეცოვამ და სამანტა სტოსურმა საერთოდ მეოთხედფინალის საგზურები გაინაღდეს. რუსმა ტატიანა გოლოვინს მოუგო, ავსტრალიელმა კი ტურნირის ჯერჯერობით ერთადერთი სენსაციის ავტორი, პატი შნიდერის გამგდები ჩინელი სუნი დაამარცხა.

**კაცები**
ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 675 000 $

**მეორე წრე**

**რუბენ რამირეს-იდალგო** (ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) 2:6 7:6 7:6; **ძსავიე მალისი** (13, ბელგია) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:1 4:6 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (12, არგენტინა) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:3 6:2; **ხოსე აკასუსო** (6, არგენტინა) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) (უარი); **იარკო ნიემინენი** (4, ფინეთი) — გრეგ რუსედსკი (ბრიტანეთი) 7:6 6:4; **ნიკოლას მასუ** (14, ჩილე) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:3 7:6; **აგუსტინ კალერი** (10, არგენტინა) — მაქს მირნი (ბელორუსია) 7:6 6:3; **მარდი ფიში** (აშშ) — დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) 6:2 2:6 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (7, ესპანეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 7:6 6:4; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — იონას ბიორკამნი (11, შვედეთი) 6:7 7:6 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (3, კვიპროსი) — მიხაელ ბერერი (გერმანია) 7:6 7:6; **ოლივიე როხუსი** (8, ბელგია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 4:6 6:4 6:3; **გაელ მონფილზი** (საფრანგეთი) — მარკ გიკუელი (საფრანგეთი) 7:6 6:4; **პარადორნ შრიჩაპანი** (16, ტაილანდი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 7:6 4:6 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (2, რუსეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2 6:1

**ქალები**
ნიუ ჰევენი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**პირველი წრე**

**ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:3 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (7, აშშ) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:3 6:3; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) 6:3 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:3 6:7 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 3:6 6:3 6:4; **ნა ლი** (ჩინეთი) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4 6:1

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) 6:0 2:6 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 4:6 6:1 6:2

**კიდევ** ოთხიოდე დღეც და წლის უკანასკნელი სლემტურნირიც გაჩაღდება. ამ დროს, ანუ სლემტურნირის წინა კვირაში უმრავლესობა დასვენებას არჩევს, რადგანაც იმედი აქვთ, რომ ნიუ იორკში ორი კვირა მოუწევთ ომი და ამიტომაც არ უნდათ, ამ ბატალიებს გადაღლილნი შეხვდნენ. თუმც დასვენება იმათი ხვედრია, ვინაც უკვე გაუსინჯა გემო ამერიკულ ჰარდს და აქ სირბილ-ბურთაობა მოისურვილა. მაშ იმათ რაღა ქნან, ჯერ კიდევ რომ არა აქვთ იქაურ მაგარ საფარზე ჩოგნაობის სათანადო პრაქტიკა? ჰოდა, სწორედ ასეთებილა თუ ასპარეზობენ ეხლა პატარ-პატარა ტურნირებზე იმ იმედით, რომ ცოტა უკეთესად მოემზადონ US open-სთვის.

ისე, ყველამ ნიუ იორკთან ახლოს, კიდევ ერთ ნიუ-ში, ოღონდ ჰევენში მოიყარა თავი.

გამოდის, რომ ამერიკელებს დამდეგ სლემტურნირზე მართლაც მხოლოდ ენდი როდიკის იმედი უნდა ჰქონდეთ. წლეულს იმდენი იძახეს ჯეიმს ბლეიკი სტაბილური და მაგარიაო, რომ გათვალეს

**ქახა ლომაშვილი**

# US OPEN დაინომრა

**US OPEN-ის** ორგანიზატორებმა განთესილების სია გამოაქვეყნეს. სიურპრიზები არის, თუმც არცთუ ხმაურიანი.

კაცებს შორის პირველ ნორმად, რა თქმა უნდა, როჯერ ფედერერის განთესეს. დიდ საიდუმლოს არც მეორე ნომრის ვინაობა წარმოადგენდა — ეს რომ რაფაელ ნადალი იქნებოდა, ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა. ამ ტკბილ წყვილს ივან ლიუბიჩიჩი და დავიდ ნალბანდიანი მოსდევენ.

ყველაზე მაღალნომრიანი ამერიკელი ჯეიმს ბლეიკია, რომელიც მეხუთედ განთესეს. ათეულში მეორე იანკი, ენდი როდიკიც მოხვდა — მას მეცხრე ნომერი ერგო.

ქალების განთესვაზე კი კიმ კლაისტერსის ტრავმამ იქონია გავლენა, რის გამოც მისი კუთვნილი მეორე ნომერი მეორე ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენს ერგო. პირველი კი წლის ფავორიტი და ორი სლემტურნირის მომგები ამელი მორესმოა.

მარია შარაპოვამ მესამე ნომერი დაისაკუთრა. მას ერთბაშად სამი რუსი — ელენა დემენტიევა, ნადია პეტროვა და სვეტლანა კუზნეცოვა მოსდევს. სულ კი განთესილებში 9 რუსია.

ათეულში არიან შვეიცარიელები — პატი შნიდერსა და მარტინა ჰინგისს შესაბამისად მეშვიდე და მერვე ნომრები ერგოთ.

მეათეა ლინდსი დევენპორტი. მის გარდა განთესილთა სიაში მხოლოდ ერთი ამერიკელი, ვინუს უილიამსი მოხვდა, რომელსაც 30-ე ნომერი არგუნეს.

**ქახა ლომაშვილი**



## მსოფლიო ლიგა. ფინალი
## 23-27 აგვისტო. მოსკოვი




ბულგარელებმა ბრაზილიელებს ბლოკით მოუგეს

# ბრაზილია აირია
## მსოფლიო ლიგის ფინალი სენსაციით დაიწყო

**გუშინ** მოსკოვში დაიწყო მსოფიო ლიგის ფინალური ეტაპის გათამაშება ფრენბურთში. სანამ უშუალოდ ტურნირზე მიმდინარე მოვლენებზე გადავიდოდეთ, ერთი-ორი სიტყვით საკუთრივ ამ შეჯიბრსა და მის ფორმატზე მოგახსენებთ.

მსოფლიო ლიგის გათამაშება 1990 წლიდან დაიწყო და მისი პოპულარობა თანდათანობით იზრდებოდა. არც არის გასაკვირი, რაგდანაც აქ მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ერთმანეთს ყოველწლიურად ეჯიბრებიან, რაც არცთუ ურიგო სანახაობაა. გარდა ამისა, ტურნირის სერიოზულობა მის საპრიზო ფონდის ზრდის პროპორციულად იზრდება, წლეულს კი მან რეკორდულ, 20 მილიონ დოლარს მიაღწია.

ფორმატი ხშირად იცვლება ხოლმე, თუმც აქ ყოველთვის იყო შესარჩევი და ფინალური რაუნდები. წლეულს შესარჩევში თექვსმეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ოთხ ჯგუფში გაანაწილეს. ფინალურ ეტაპზე გამარჯვებულები და ერთიც საუკეთესო მეორე ადგილოსანი წლეულს საფრანგეთი იყო) მოხვდნენ. ამ ხუთ გუნდს ორგანიზატორების მიერ არჩეული და შემდეგ მოწვეული ერთი ნაკრებიც, ამ შემთხვევაში იტალია დაემატა.

ეს ექვსი ნაკრები ორ, E და D ჯგუფებად გაიყვნენ. ჯგუფებიდან ორ-ორი ნაკრები გადის და პირველ-მეორეები ერთმანეთს ნახევარფინალში დაეტაკებიან.

გუშინ კი უკვე პირველი თამაშებიც ჩატარდა და პირველი სენსაციებიც ვნახეთ. თან რა სენსაციები.

ჯერ იყო და ტურნირის პირველ შეხვედრაში ბულგარელებმა ბუმბულ-ბუმბულ გაპუტეს უკანასკნელი წლების საფრენბურთო მოდის კანონმდებელი ბრაზილიელები. სამხრეთ ამერიკელები ბოლო ხანებში ყველაფერს იგებენ და არც შემადგენლობის მხრივ უჭირთ — სამი-ოთხი ერთნაირი სიძლიერის ნაკრების გამოყვანა შეუძლიათ. ამიტომაცაა, რომ მოქმედი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები არიან.

თუმც გუშინ ბულგარელებმა საამაგალითოდ გალახეს თავიანთი გულზვიადი მეტოქეები და სამ სეტში გადაუარეს. სლავთა ბლოკმა მთლიანად ამოკეტა ბრაზილიელთა ვარსკვლავური შემტევები — ჟიბა, როდრიგაო და ამარალი. სხვა სამხრეთ ამერიკელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ბულგარელ მებლოკეებს ბადესთან და ეგრე ბავშვურადაც დამარცხდნენ.

„აგეთი თამაშით ბულგარელებს კი არა, იუნიორებსაც ვერ მოვუგებდით. თვალებს არ ვუჯერებდი, ისეთ შეცდომებს უშვებდნენ ჩემი მოთამაშეები" — მხრებს იჩეჩდა ნამატჩევს ბრაზილიელთა გამოცდილი დამრიგებელი ბერნარდო რეზენდე.

სენსაციურად დამთავრდა მეორე შეხვედრაც. ფრანგებმა შესარჩევ ეტაპზე იტალიას სამჯერ კი მოუგეს, მაგრამ ყველა მაინც არასერიოზულად უყურებდა მოსკოვში უმთავრესი ლიდერის, ფრანზ გრანოვკას გარეშე ჩასულ გალებს. იტალიელთა მწვრთნელი ჯან-პაოლო მონტანიც ამბობდა, ახლა ვართ ფორმაში და ჩვენს ძალებსაც განახებთო.

თუმც მონტანის იმედები გაუცრუვდა, რადაგანც აპენინელთა რიგებში მხოლოდ მათი დიაგონალური შემტევი ალესანდრო ფეი გამოირჩეოდა, რონმელამაც 28 ქულა მოიხვეჭა. ამას ფრანგებმა გუნდური თამაში დაუპირსპირეს და ფავორიტები მაგარ დაძაბულ ჯახში, ტაი ბრეიკზე დასცეს.

**ქახა ლომაშვილი**

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

სპარტაკი (რუსეთი) 2:1 ლიბერეცი (ჩეხეთი) (0:0)
ბოლესლავი (ჩეხეთი) 1:1 გალათასარაი (თურქეთი) (2:5)
სტიაუა (რუმინეთი) 2:1 სტანდარდი (ბელგია) (2:2)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:2 დინამო (უკრაინა) (1:3)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) 0:1 ლილი (საფრანგეთი) (0:3)
რუჟომბეროკი (სლოვაკეთი) 0:2 ცსკა (რუსეთი) (0:3)
აიაქსი (ჰოლანდია) 0:2 კოპენჰაგენი (დანია) (2:1)
ლეგია (პოლონეთი) 2:3 შახტარი (უკრაინა) (0:1)
აეკ (საბერძნეთი) 3:0 ჰართსი (შოტლანდია) (2:1)
კიევო (იტალია) 2:2 ლევსკი (ბულგარეთი) (0:2)
არსენალი (ინგლისი) 2:1 დინამო (ხორვატია) (3:0)



ბლეკბერნი — ევერტონი 1:1. ტრავმამოშუშებულმა ზურაბ ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა და გაფრთხილებაც მიიღო

# დღეს ნიონში სიტყვისყრაა
## პირველად თქმული ამდენი წული: 140 მილიონი ევრო ჩემპიონს!

**დღეს** ჩემპიონთა ლიგა იმ სახეს მიიღებს, რომელსაც ევროპის უბრალო გულშემატკივრები ნამდვილ ლიგას ვუწოდებთ — ნიონში, უეფას ოფისში კენჭისყრა გაიმართება და ის 32 გუნდს 8 ოთხგუნდიან ჯგუფად დაახარისხებს.

ბუნებრივია, ისევე, როგორც ყოველთვის, დღესაც გამოჩნდება „სიკვდილის ჯგუფი" და ისევე, როგორც ყოველთვის, კლუბების მენეჯერები თუ პრეზიდენტები დღესაც იტყვიან იმას, რასაც ყოველ წელიწადს დაზეპირებულივით იმეორებენ — ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მეტოქე არ არსებობს, ჩვენ ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ და ასე შემდეგ.

ხოლო, რომ იბრძოლებენ და თან თავგადაკლულად, ახლავე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რადგან, როგორც ჩემპიონთა ლიგის სპონსორ „მასტერკარდის" ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, გუნდი, რომელიც 2007 წლის 23 მაისს ათენურ ფინალში გაიმარჯვებს, ბიუჯეტს დაახლოებით 140 მილიონი ევროთი შეივსებს — ეს რეკორდია.



აიაქსი — კოპენჰაგენი 0:2. მასპინძელთა ცრემლის ზღვაში სტუმრებმა იბანავეს

### ინგლისი
პრემიერლიგა. II ტური
ასტონ ვილა 2:1 რედინგი
სიტი 0:0 პორტსმუთი
ბლეკბერნი 1:1 ევერტონი
ჩარლტონი 0:3 მანჩესტერი
ფულემი 1:1 ბოლტონი
მიდლსბრო 2:1 ჩელსი

ლიგის თასი. I ეტაპი
გადათამაშება
ჩესტერფილდი 0:0 (6:5პ) ვულვზი
ბრაიტონი 1:0 ბოსტონი
პორტ ვეილი 2:1 პრესტონი
უენსდი 1:4 რეძემი
საუთჰემპტონი 5:2 იოვილი
ტორკი 0:2 ნორვიჩი

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
გრაცერი 2:1 ტიროლი

### იტალია
თასის I ეტაპი
პირველი მატჩები
ვენეცია 0:1დ.დ. (0:0) არეცო
ალბინოლეფე 1:2დ.დ. (1:1) უდინეზე
კრემონეზე 0:1 რეჯინა
კროტონე 2:1 ტორინო
მესინა 2:0 პიაჩენცა
მოდენა 1:1დ.დ. (5:4პ) მანტოვა
პესკარა 0:3 ატალანტა
ტრიესტინა 2:1 სიენა
კავეზე 0:2 ბოლონია
ჩეზენა 1:2 იუვენტუსი
ჯენოა 1:0 ფიორენტინა
მონცა 1:1დ.დ. (3:4პ) ლაციო
რიმინი 1:2 სამპდორია
ტარანტო 0:1 ბრეშა
ნაპოლი 1:0დ.დ. (0:0) ასკოლი

### შვედეთი
სუპერეტა. XIX ტური
იორებრო 2:1 დეგერფორსი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი
შო დე ფონი 0:2 ძსამაძსი

### ნორვეგია
ტიპელიგა. XIX ტური
ლინი 3:3 ლილესტრიომი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრინი 4:2 ფოლო

### იაპონია
ჯეი ლიგა. XV ტური
ურავა 3:1 ნიიგატა
ოიტა 3:3 შიმიცუ
კიოტო 4:4 სერეზუ
კოფუ 2:1 კაშიმა
კავაზაკი 4:2 ნაგოია
იოკოჰამა 1:2 ომია
ივატა 3:1 იჩიჰარა
გამბა 3:2 ჰიროშიმა
ტოკიო 5:1 ფუკუოკა

### დანია
თასის I ეტაპი
ჰერფიოლგე 0:1 ფრემი
ბრაბრანდი 1:2 ესბიერგი
ფრედერისია 1:1 ოლბორგი
ჰოლბეკი 3:1 კიოგე

### შოტლანდია
ლიგის თასი
პირველი ეტაპი
გადათამაშება
ინვერნესი 3:1 დამბარტონი

### ამხანაგური მატჩი
რეალი (ესპანეთი) 2:1 ანდერლეხტი (ბელგია)



კიევო — ლევსკი 2:2. წინა ეტაპზე ბოლნისის „სიონის" დამმარცხებელი სოფიელები ლიგაში შეჭირითდნენ



რუჟომბეროკი — ცსკა 0:2. არმიელ იგორ აკინფეევს ჩეხთაგან გადაუჭრელი პრობლემები არ შექმნია

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00